



ულრნალ „ჯეჯილისა“

I	გაზაფხული, ლექსი—დ.	თომაშვილისა	3
II	პატარა ტარიელი, მოთხოვბა,—აფავისა	5	
III	მოიპარა. ამბავი (თარგმანი),—განოსი	17	
IV	ღრუბელი და ზლეა (მიბაძვა). ლექსი—შ.	მღვიმელისა	24
V	პატარა ლორდის თავ-გადასაყალი, თარგმანი—ე—ჭოსი	26	
VI	გაზაფხულის სიცლერა, ლექსი,—თეოფ. ჭანდეჯავისა	36	
VII	მარგალიტი, (დასასრული),—ილიკოსი	49	
VIII	ჯემს გარფილდის ცხოვრება. (შემდეგი) —ბატუსი	50	
IX	საკვირველებანი ბუნებისა, (ვარდი იერიქონისა) —ლ.	ადნია- შვილისა	56
X	ქურდი და მლელელი, —ალ.	მ—შვილისა	60
XI	ვარდი და მაყეალი, —ლიდიასი	61	
XII	შარალა, ხალხური, ანდაჟები, სრტყელების გამოცანა	62	

ულრნალ „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოვა ყო-
ველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის
განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და უურნალი
მხოლოდ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 პ.
და ქალაქ გარეთ 5 პ.)

ჩვენმა სახელოვანმა მგოლანმა აკაკიმ აღგვითქვა, რომ
დღეიდან ყოველ ნომერში მიიღებს მონაწილეობას.

၁၆၁၃၁၂၁၂၁၁၁

၁၉၂၀၁၇၃၀၉၆၂ ၁၁၂၀၈၁၀၂၄၀၁၆၂

ე უ რ ნ ა ლ ი

345
1892 h

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..

c. 8

No. V

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ମହାନାନ୍ଦ ପାତ୍ର



ଓଡ଼ିଆ ଉତ୍ସବ

Արքածեա Յ. Պ. Խոշոնդանցուս || Տիպ. Մ. Դ. Ռոտնանց. Գօլ. ար., գ. Լ: 41.
1897.



Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го Апрѣля 1897 года.

გ ა ზ ა ფ ხ ე ბ ა ვ ა ლ ი



გ ა ზ ა ფ ხ ე ბ ა ვ ა ლ ი



წ გაჭერენ დღენი გლოვისა —
ზამთარს ეკვეცა ფრთებია!
ტურფათ იძოსვის ტეე-ველი,
ჭალები, გორა, მთებია.

ადიდებული მდინარე;
აქაფებულა ღრიალებს,
ზეირთებს-ზეირთებზე მოისვრის
ხან, თითქო ცეკვობს, ტრიალებს.

უოველი სული ისარის,
გრძნობს რაღაც ციურ შეებას...
დაჭიკვიკობენ ფრინველი
ზენას უძღვნიან ქებასა;

ოთხფეხ — ნადარინი ავლებენ —
ტეებში შუკა-ქუჩებსა,
ფთხილათ კურდღელი ბუჩქებში,
თათებით იწმენდს ტუჩებსა.

ଶାନ୍ତିରୀଂ ମହିମିରେ ଶୁଦ୍ଧାଶୀଳ
ପିଲାକିଲି „ଦେଖି ଦେଖିବା“
ରା ମୁଖୀ ମନ୍ଦିରରେ ପୃଷ୍ଠାବନ୍ଧୀ
ରାମଭାଗିରିଲି „ଅରଣ୍ୟପାତା“.

ଓହ!.. ପାଦଶିର ପୁରୀର ପାରିଦିଲା
ପାତ୍ରପରିଚ୍ଛଳେପୁରୀ, ଅମ୍ବଗରା,
ପିଲାକିଲି ରାଜନୀ-ଜାତିରୀପିଲା
ଶିକ୍ଷାପରିଚ୍ଛଳିଲି ମାଲା ନାମଦିଗରା.

ମହିମାନେ ଯୁଦ୍ଧପାତା, କାନ୍ତିରୀପାତା,
ଶାଶମନତ ଶୈଥିରେଲିଲା;
ଅଶ୍ଵର ପ୍ରକାଶିଲିପି ପାତାପାତା,
ପିକାଲୁପି ପୁରୀପାତା ଶୈଥିଲା.

ଫିଲା ରା କୋରିନିଲି ପାତାପାତା,
ଭାରତର, ଭାରତର ଶୈଥିଲା!
ଶୈଥିଲା ପାତାପାତା ପାତାପାତା
କୋରିନା ରାତିପାତା ପାତାପାତା.

ଶିଖିଲି, ଶିଖିଲି ପାତାପାତା ଶାଶମନର!
ଶିଖିଲିରା ଶିଖିଲିରା ଶିଖିଲିରା,
ଶିଖିଲିରା ଶିଖିଲିରା ଶିଖିଲିରା
ଶିଖିଲିରା ଶିଖିଲିରା ଶିଖିଲିରା.

ଲ. ତାମାଶ୍ଵିଲି.

ჟაზარა ცარიელი.



იდი ხანია, ჩეენ გიმნაზიებში მისთანა გულის-
ყურიანი არაეინ ყოფილა, როგორც პატარა
ღიტო ცალქალანიძე გამოდგა; ნიჭის გარდა,
ზენ-კეთილის, სწავლის ხალისიც ღიტი ჰქონდა;
ღილა და პატარას, ვინც კი ოცნობდა, ყვე-
ლას უყორდა და სულში იძერენდა; როგორც
პირელი მოწაფე, კლასიდან-კლასში საჩუქ-
რებით გადადიოდა; მეოთხე კლასამდის ტო-
ლი არ ჰყოლია, მაგრამ აქ კი რაღაც ალალ-
მა დაუქროლა; გუნება შეეცვალა, სწავლაზე
გული აიყარა, ახირებულობას მისცა თვეი და
ადრინდელ ღიტოსი ნიშან-წყალიც აღარ შერ-
ჩენია, თითქოს თვალი ჰქონდა და გაღალესო,
აღრღლილი დადიოდა... სხვებრ კი გარეგნათ
ავათმყოფობისა არა ეტყობოდა-რა; ფერ-ხორცათ
კარგათ იყო და არც სიმსუქნე ჰქონდა, მხოლოთ საულეაშის ძირ-
ზე კი აქეთ და იქით ცერცვისოდენა სიწითლე დაჯდომოდა და ხმაც
აღრინდულათ ალარ უკრიალებდა, მკერხათ გაბოხებოდა, ცოტა
ნაძალადეობაც ეტყობოდა. შინაურები მაინცა და მაინც ღიტ უუ-
რადღებას არ აქცევდენ, „არაფერია, მოზარდეა, ამ ხანში ასე იცი-
სო, სანამ ამისთანა დარებია, ტყე და ველსა ჰყაეს წატუუბული, თა-
ვის ნებაზე ველარ ასვენებს და მისი ბრალიაო! ზამთარი რომ შინ
შამოდენის, მაშინ ისევ ისე ძეველ კალაპოტში ჩადგებათ“. ასე ჰფერ-
ხობდენ, მაგრამ გაუცუდდათ იმედი: ზამთარში უფროც გაჭირეულ-
და ყმაწევილი; ნადირობის ეინძა აიტაცა და ღილიდან საღამომდე,

რაღაც კი სასწავლებელს თავს დაანებებდა, სულ გარეთ იყო. იმ პა-
 ტარა ჩიტუნიებს, ადრე რომ ისე უყვარდა და ებრალებოდა, ახლა,
 სადაც კი შეიგულებდა, მოსისხარ მტერიით მუსრს ადენდა. ერთ-
 ხელ ახირხლა თავის ნანადირეები, დაიჭირა ხელში და გასწია მეზობ-
 ლისაკენ; იქ, ერისთვის ოჯახში, პატარა, ათი წლის მეგობარი თი-
 ნა ეგულებოდა და იმასთან მიჰქონდა ძლევა. პირ-და-პირ შეეიღ
 ოთახში, მაგრამ ვერავინ დაინახა, თუმცა აქეთ-იქით კი თავ-მომწო-
 ნეთ იყურებოდა. უცბათ ფარდა შეირჩა, გამოპყო თავი დამალულმა
 თინამ და „ჭირა“-ო! მიაძახა. ჯერ გაეცინა დიტოს, მაგრამ ბოლოს
 მოიჭმუხვნა სახე და უეცრათ დაეშვა ძირს, გაინართხა გულ-შეწუ-
 ხებული. თინამ დაიკიფლა; მის კიელზე უფროსები შამოცეინდენ
 და გულ-შეწუხებული ბაეში რომ ნახეს, მისცვივდენ, ბევრი უსრი-
 სეს ცხვირი და ყურები, წყალიც ბევრჯელ გადასხეს თავზე, მაგრამ
 არა ეშველა-რა. მართალია, ყოველთვის, როცა კი ცივი წყალი ეს-
 ხურებოდა ხოლმე, შემქრთალი თვალებს ახელდა, მაგრამ ისევ ისე
 ხუჭავდა და ნაბავდა. ბევრი მეცადინეობის შემდეგ, რომ ვეღარა
 მოუხერხეს-რა, ერისთვიანი იძულებული შეიქნენ, შინ გაეგზავნათ
 ხელში აუკანილი ყვაწვილი. ახლა კი გამოპყიტეს დიტოს სახლში
 თვალები, შეიცხადეს და ერთმანეთს დაუწყეს საუველური, არა, შენი
 ბრალია და არა, შენიო; ცოლი ქმარს ამტყუნებდა: „შენ მომიკა-
 ლი შეილი, შენი ბრალიაო! იძახოდი, არა უშავს-რა, გაივლისო
 და მე, მზე-ბნელმა, დაგიჯერეო“. — „ჩემი კი არა, შენი ბრალიაო! —
 პასუხს აძლევდა ქმარი, — მიგიშვია მის ნებაზე თითის სიგძე ბაეში,
 დარბის აქეთ-იქით ამ დიდ თოვლში! ჩიტების დევაში ამოდის სუ-
 ლი და ვეღარას გებულობსო, გაცივდებოდა აბა რა მოუვიდოდაო!“
 ბევრი იწუწუნეს, ბევრი ითავცემეს და ბოლოს, გული რომ იჯე-
 რეს, აფრინეს, აქეთ-იქით კაცი ექიმზე. ექიმებიც მოვიდენ, გაშინჯე-
 კმაწეილი, ხან მუცელზე დადევს ყური, ხან გულ-მკერდზე, ხან
 ჯურგზე, ხან სად და ხან სად; ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ უვე კაშ
 კი სულ სხვა-და-სხვა გვარათ გამოიკვლია; ერმა თქვა: ჭია მოჩე-

პატარია ტარიელი

ეიო, მეორე ამტკიცებდა, ჩუმი, ჩაყოლილი ცივების ბრალია, მე-
სამებ გულის სისუსტეს მიაწერა, მეოთხემ კუჭის და აშ გვარათ უვე-
ლამ თავისებური რეცეპტი დასწერა და მითი გათავდა საქმე. ავათ-
მყოფს თვალის დასანახავათაც არ მიუკარებია მათი წამალი და დედ-
მამას მხოლოთ იმას ეცემწებოდა, სისხლი გამართებით. უკვირდათ
მისი ახირებული ქინიანობა და აღარ იცოდენ რა ექნათ. საჭმლის
მადა კარგი ჰქონდა ბავშვს, სიცხეც არ ეტყობოდა, მხოლოთ სუს-
ტათ იყო მიგდებული და წამ-და-უწუმ ოხრავდა. ხან და ხან, რო-
ცა იმასთან აღარავინ იყო ხოლმე, წამოჯდებოდა და რალაც შეფე-
რებულის ლიმილით ბუტბუტებდა: „სევდა რამე შემომყრია, სამკურ-
ნალო არა მჭირს-რაო“.

ნაცნობებმა დრო იშოვნეს, მიღიოდენ ავათმყოფის სანახავათ
და მთელი დღით რჩებოდენ, რომ გამწარებული დედა ენუგეშებიათ;
ადაც კი გაეგონათ რომელიმე სოფლის ექიმის სახელი, ყველაზე
უთითებდენ და არწმუნებდენ: ვიცით რომ ის მოგირჩენსო, მარჩი-
ელთანაც კი მიასწავლეს; ამასთაში რამდენიმე დღემ გაიარა და
დიტოს კი მაინც არა ეტყობოდა-რა.

ერთ კვირა საღამოს ერისთვის ცოლი შებძანდა სანახავათ და
პატარა თინაც თან მოჰყვა; შემოდგა თუ არა ოთახში ფეხი, ავათ-
მყოფმა მოიხედა და გამოცოცხლდა. „ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი
იმედი და ნუგეში; დიდი ოჯახის შეილი ბრძანდები, დიდი ბეღნიერი
და ფეხიც ბეღნიერი გაქვსო! სწორეთ შენ ფეხზე მოიხედა და გა-
მომირუნდა შეილიო!“ ეუბნებოდა მასპინძელი სტუმარს, და მართ-
ლაც, დიტო წამოდგა ზეზე; ხელ-პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა და
მარჯვეთაც გაიარ-გამოიარა. მთელი ის საღამო ერთათ გაატარეს
იმან და პატარა თინამ... ის იყო და ის! იმ დღიდან იმას აღარა
ტკინია-რა, მხოლოთ უწევული ახირებულობა კი თან და თან უფ-
რო ეტყობოდა. რა იყო მიზეზი? რა და „ვეფხის ტყაოსანი!“.

დიტო ახალი გადასული იყო მეოთხე კლასში, რომ „ვეფხის
ტყაოსანი“ ჩაუვარდა ხელში და მისმა მომხიბლავმა შინაარსმა, უფრო

ზღაპრულმა შხარემ, ისე გაიტაცა, რომ მეორე დღემდე თავი აღი
 აულია, აღარც ჭამა მოჰვეონებია, აღარც სმი და აღარც ძილი. იმ დღი-
 დან თავსა და გულში სულ „ვეფხის ტყაოსნის“, გმირები უტრიალებ-
 დენ. ღმერთმა წუ ქნას, თუ ერთ დროს მეც ტარიელი არ გაეხდეო.
 განა მე კი ვერ მოვახერხებ გმირობას? ამბობდა თავისთვის დიტო.
 ამ სურვეოლმა ისე წაიტყუა, რომ ერთ თვეს შემდეგ თავი მართლა
 ტარიელათ წარმოიდგინა, ულვაშებს იპუწნიდა, სმას ძალას ატან-
 და სიარულის დროს ფეხს მძიმეთ, დინჯათ ადგამდა და ყოველ-
 გვარ თავის ქცევას ტარიელისას უტოლებდა გუნდებაში. დარწმუნდა,
 დარწმუნდა, რომ მართლა ტარიელი იყო! ახლა საჭირო იყო მხო-
 ლოთ, რომ სადმე სამეცნიეროთ შეკყროდა აეთან ლილ-ფრიდონს და
 ნესტან-დარეჯანიც გამოსჩენოდა. შემთხვევამ ხელი მოუმართა; ერთ
 დოლას, აღრე, როცა გიმნაზიაში მიდიოდა, დაინახა, რომ მეორე
 მშრით პატარა ქალებიც სასწავლებელში მიდიოდენ; წინა ლამის ნა-
 აედრევი იყო და შუა ქუჩაში ნიალვარი იდგა; პატარა მოწაფეები
 ფალმა გასასვლელათ ქვიდან ქვაზე ადგამდენ ფეხს, რომ მშრალია ე-
 ლოთ; ზოგიერთებს უსხლტებოდათ ფეხი, ჩაჰუაედენ ხოლმე წყალში
 და მაშინ სხევების სიცილს ბოლო აღარა ჰქონდა. იმათში ერთი პა-
 ტარა, ათი წლის, ლამაზი გოგონა ერია; იმას კი ორივე ფეხები
 აუსხლოტა და ჩაერდა წყალში; ამხანაგებმა სიცილი დატანეს, მაგ-
 რამ პატარა დიტომ კი უცბათ გასტურუა განზე წიგნებით გატენი-
 ლი ჩანთა და მიაშურა. წყალი კოჭებამდის თუ შესწევებოდა, მაგ-
 რამ დიტომ მაინც მღელვარე ზღვათ წარმოიდგინა, ჩაწვა შიგ და
 სელებსა და ფეხებს აპარტურუნებდა, ეითომ ვცურავო. მაყურებლებს
 ეფონათ, თუ ისიც წაიქცაო და მოუმატეს სიცილ-ხითხითს; მცურავს
 მათოვის ცურადლებაც არ მოუქცევია, სულ მუცლის ხოხვით მიე-
 და წყალში ჩამჯდარ პატარა ქალამდის, მოჰკიდა ხელი და გამოიყვა-
 ნა გამოლმა, მერე წიგნები და კალოშები ამოუღო წყლიდან, ურ-
 ჩია შინისკენვე დაბრუნება და თეითონაც, როგორც მხსნელი და
 მფარეველი, თან გაჰყეა.

პატარა გოგო გამოდგა ერისთვის ქალი, თანა. ერისთვისას რომ გაწუმპული ბავში ნახეს და მიზეზიც შეიტყეს, ქალს ტანისამოსი გამოუცვალეს, ღიროსაც გაუმშრალეს, მადლობა უთხრეს და გაისტუმჩეს. ამ დღიდან დაიწყო მათი ნაცნობობა და ხშირათაც ხედავდენ ხოლმე ერთმანეთს. „ესეც ხომ შენი ნესტან-დარეჯანიო!“ ფიქრობდა დიტო და სიხარულით თავს ზეცას აჭერდა. თავის აზრი და ჩრდენა ნელ-ნელა პატარა მეობარსაც შეატყობინა; წაუკითხა „ეეფხის ტყაოსანი“ და იმდენი ეჩიჩინა, რომ გულში ძალა-უნგბურათ შევგვარა ნესტან-დარეჯანიბა; იმ სახლშივე მცხოვრებ მესარეცხეს პატარა გოგოსაც ასმათობა აკისრების. გიმნაზიაშიაც დიტომ ერთი ამხანაგი გაიაეთანდილა და ფრიდონიც უნცროს კლასში გაიჩინა და გაიმართა პატარა მეობრებს შუა ნამდვილი ნესტან-ტარიელობა... დიტო ისე გატაცებული იყო სურეილით, რომ „ტარიელი“ დამიძახეთო, ეუბნებოდა თავის ახლო მეობრებს.

ჩიტები რომ ძლენათ მიიტანა, იმ დღიდან მაინც იჭვი აღარ ჰქონდა თავის ტარიელობაზე; —ჩეენ ორივეს თავ-გადასავალი ერთი და ივივეაო, —ამბობდა; —მოუმატა თავ-გასულობას, მეზობლებს თავს ახეზრებდა. იმ უბანში, სადაც ცალქალამანიძის ოჯახი იყო, მოსვენება აღარავის ჰქონდა მისგან; კატა არსად გაეცდებოდა, ვისიც უნდა ყოფილიყო, თვალს მოჰკრავდა თუ არა, გამოუდგებოდა, და იჭერდა, ხან ჰქონიდა და ხან კედელს ახლიდა, ეითომ და ტარიელის ეეფხ-ლომებიაო. პატარა ლეკვებსაც აწვალებდა, დიდ ძალლებს კი შორიდან ესროდა ხოლმე ქვებს; პატარა ბიჭებს, რომელსაც კი დაიბრიყებდა, უმიზეზოთ და უწყალოთ ანარცხებდა მიწაზე; დიდებს ერიდებოდა, მაგრამ გულში მაინც ამბობდა: ნეტავი ერთი ხელს მომკიდებდენ, რომ ისინი ყირაზე გადვიყვანო, გადვაბრუნო, დაბლა ზურგით მტვერი გახვეტინო და მაღლა გარსკელავები ვათვლევინოთ... ამას დატრაბახებით კი არ ამბობდა, მართლა ევონა! იჭიმებოდა, იბერებოდა და სწავლაში კი თან და-თან იჩუტებოდა. ამ ხანებში თინამაც აიცრუა გული სწავლაზე. მისმა მასწავლებელმა

10

ქალმა შესჩივლა ერისთვის კწეინას, თქვენი ქალი აღარ სწავლობს
და ეს სულ დიტოს ბრალიაო, მეტაც ხშირათ მოდის თქვენსა, თა-
მაშობენ, ცელქობენ და ვეღარას ასწრებენ.

ქართველი მოცემულია, რათ მიეკუთხა ნება, რომ ეს
არა მარტინ ლიპშიცის მიერ დაგენერირებული იყო.
ამ მოცემული მასალა მარტინ ლიპშიცის მიერ დაგენერირებული იყო.
ამ მოცემული მასალა მარტინ ლიპშიცის მიერ დაგენერირებული იყო.

ამასობაში ერთმა-ორმა თვემ გაიარა; მეგობრებს ერთმანეთი
ალარ უნახავთ, თუმცა პატარა თინა მის გუვერნანტს ხშირათ და-
ჰყავდა ხოლმე საღამოობით აქეთ იქით ბალებში. უფრო ხშირათ კი
ვერისაკენ, სასაფლაოზე. მოთმინებილან გამოსულმა თინა აცნობა
დიტოს, თუ არ დაგვიწყებივარ, ვერის საფლაოზე გამოდი ხოლმე
საღამოობით და, ერთხელაც იქნება, იქ მნახავო. ეს იყო პირველი
წერილი, თინასაგან მინაწერი, თუმცა რუსულათ, მაგრამ მაინც მისი
ხელით დაწერილი. კინალამ გაგიედა სიხარულით დიტო; გულზე
დაიდეა უსტარი და ზედ სიხარულის ცრემლები დაღვარა. წამ-და-
უწუმ საათს დაჩირებოდა, წმი საათათ ეჩევენებოდა და საათი დღეთ.
ძლიერ მოესწრო საღამოს და გასწია სასაფლაოსაკენ; იქ მართლა
დაინახა თინა, მისი გუვერნანტი და ერთი ვიღაც უცხო ახალგაზღდა,
და წინ შეეფეთა ვითომ უცაბედათ... პატარებს იმათ ერთ-ანეთის
ნახეა; ქალმა უთხრა ბავშებს, თქვენ აქ დარჩით, ითამაშეთ, ჩეენ კი
ქვეითყვენ წაյალო, სასაფლაოს ქვების დასათვალიერებლათო, გამო-
უყარა ხელი მკლავში ახალგაზღდა ვაჭს და გადაუხვიეს განზე. და-
ჩენ პატარები მარტო; ერთ ხანს შეჩერდენ ხმა-ამოსულებლათ, მერე
ხელი მისცეს ერთმანეთს და აკოცეს, დასხდენ იქვე საფლავის ქვა-
ზე და იწყეს საუბარი. დიდი ხნის უნახავებს ბევრი ჰქონდათ სათქ-

შელი და ერთმანეთს აღარ აცლილენ ლაპარაკს... იმდენი იტიტინეს, რომ დაღამებამ მოატანა და უფროსები კი ჯერ მაისტ არსადა ჩანდენ. თინას გულში შიში შეეპარა, გამოუტყდა დიტოს და უთხრა: წავიდეთ, ჩვენები მოვძებნოთ, დაუყდახოთ! დიტომ მედადურათ გადაიქნია თაერი და უსაყველურა.

— ჰაი, ჰაი, რისა გეშინია? მე აქ არა ვარო? მთელი ჯოჯოხე-თიც გარს მოგვადგეს, მაინც გაუმკლავდები, მოვიგერებ და შენ კი არას გაგრძირებო.

ჯოჯოხეთის სსენებაზე თინა უფრო შეკრთა და დიტოსაც თვა-ლები გაუდიდდა... ერთი კიდეც მოიხედა უცბათ უკან. პატარა ქა-ლი მაინც არ მოეშვა და დააპირეს წასელა; წასელისა და გამოთხო-ვების წინეთ ფიცი დასდევს, ერთმანეთს არ ეულალატოთ და ჩვენც ნესტან-დარეჯანსა და ტარიელისავით ჭირი და განსაცლელი აეიტა-ნოთო.

— ეინც გასტეხს ფიცს, — თქვა დიტომ, — იმას მოხვდეს შიგ გულში ცხელი ტყვეიაო.

— აგრე იყოს! — გაიმეორა თინამ, — ცხელი ტყვეიაო!

ეს რომ თქვეს და გაათავეს, ზედ ბეჭდის დასმაც მოინდომეს და მიიწიეს ერთმანეთთან საკოცნელათ. სწორეთ ამ დროს საფლავიდნ ამოიძახა ვიღაცამ, „ტყვეიაო“; ბავშები შეკრთენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ვერავინ დაინახეს, იფიტრეს, მოგვეჩენაო, მაგრამ კიდევ გა-მოისმა ხმა სამარიდან სამჯერ ზედი-ზედ: ტყვეია, ტყვეია, ტყვეიაო!... ახ-ლა კი ფერი ეცევალათ პატარა გმირებს; თინას გული შეუწუხდა, დიტო დატორთხა, იკადრა ტარიელობაზე ხელის აღება, დაავიწყდა მისი ნესტან-დარეჯანი, მიატოვა და მოპკურცხლა ყვირილით; — გვიშეველეთ, მკედრე-ბი გაცოცხლდენ! — მის ყვირილზე მოიჭრენ სასაფლაოს მცველი, ფრანცუზის ქალი, ახალგაზდა კაცი და ერთი-ორი კიდევ სხვაც, იქ, ახლოს მყოფი: მოასურსუმალეს გულშემოყრილი თინა, დაამშვიდეს დიტო და მერე გამოპყითხეს: რა ამბავია, რამ შეგაშინათო. ბავშები ხმის კანკალით ძლიერ იმეორებდენ, კვდარი გაცოცხლდაო... გაუკ-

ვირდათ. სასაფლაოს მცუელმა თქვა: აგერ ორი კეირაა, რაც ეს მკედრი აქ დამარხეს და ახლა მოაგონდა გაცოცხლებაო? ახალგაზ-და კაცმა უპასუხა, შეიძლება საღათას ძილით იყო შეპყრობილი და ახლა გამოილებოთ. გადააბრუნეს საფლავის ქვა და რა ნახეს? თვალ-გამოკუსული ბაყაყი წამოცუცქულიყო ქვას ქვეშ და იძახოდა, „უვია“-ო. დიდებმა სიცილი აიტეხეს, მაგრამ პატარებს კი ძეირათ დაუჯ-დათ ეს შემთხვევა; თინას იმ ღამეს სიცხე მისცა, კინაღამ ანთებათ გადაექცა და გათენებამდე აბოდებდა ტარიელს, ლომებს, დიტოს, ბაყაყს და სხვებს. დიტოს, გარდა სირცხვილისა, არა დამართნია-რა, მაგრამ ერჩია კი, რომ ავათაც გამხდარიყო და კიდეც მომკედარი-ყო! — რაღა ვარ ახლა და რა სახსენებელიო? ჩემი თავი გმირთა-გმი-რი მეგონა, ტარიელობას ვჩემობდი და ნაცარ-ქექია კი გამოვდექიო? რას იტყვის თინა და რაღა პირით შეეხდო, რომ მოელი ჯოჯოხე. თის მოგერებას ეპირებოდი და ერთ ბაყაყს კი შეეუშინდი, მიეკ-ტოვე გულ-შეწუხებული მეგობარი და გავიქეციო! ისეთ მწუხარე-ბაში ჩავარდა, რომ სირცხვილით თავს ვეღარსად ჰყოფდა. ამ ჭირს ზედ კიდევ უარესიც დაერთო: აეთანდილმა უღალატა და გამოამჯდა-ნა ტოლ-ამხანაგებში მისი საკუთა-ბზიკო თავ-გადასავალი. ამხანაგე-ბმა აიგდეს საცინათ, აიბუქეს და მოსვენებას აღარ აძლევდენ: — ბატონ ტარიელს გაუმარჯოსო. — ეტყოდა ხოლმე ერთი. — რასა იქს თქევნი ნესტან-დარეჯახიო? ეკითხებოდა მეორე. — სულ გაწყვიტე ლომ-ვეუ-ხება, თუ კიდევ დარჩენო? — დასცინოდა მესამე. საბრალოს სირცხვი-ლით პირი უშრებოდა, ნერწყეს ვეღარ ჰყლაპავდა და იყო თავისთვის ჩუმათ. ისეთ სინანულში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა; თა-რეტი ესხმოდა, კლასში ტყუილა იჯდა, აღარაფრისა აღარა გაეგე-ბოდა-რა... დარჩა იმ წელიწადს მეოთხეშივე. — მადლობა ლმერთს. — ჰუიქრობდა, — ეს უსიამო ამხანაგები მაინც მომშორდენ და ეგებ მო-ვისვენო... გაუცრუვდა იმედი! ახლებმა უარესი დღე დაუყენეს. უ-ტანელი იყო მისი მდგომარეობა; სახლში შინაურები უჯავრდებოდნ, კლასში ტოლები იგდებდენ სასაცილოთ და მასწავლებლებიც ისე

უყურებდენ, როგორც ფუჭია და გამოუსადევარს ახალგაზღა. განიშვნათ
თავის მოკელა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა, არ იცოდა, რა
გზა აერჩია, ხეზე ჩამოეხრჩო თავი, თუ წყალში გადავარდნილიყო.

სადაც დიტო სწავლობდა, იმ გიმნაზიაში ერთი ახალგაზღა ქარ-
თველი მასწავლებელი იყო, რომელიც სხვებს არა ჰგავდა; ის მი-
ტომ კი არ მსახურებდა, რომ ჯამაგირი აელო და უფროსების გუ-
ლი მოეგო, თავის პირ-და-პირ მოვალეობათ თვლიდა, რომ ნორჩ
მოწიფების გულში კეთილი სურვილი აეძრა და ახალგაზღობა სწორ
გზაზე დაეყენებინა. ის ძალიან აკვირდებოდა საბრალო დიტოს ყუ-
ფა-ქცევას და სხვებს რომ აბუებული ჰყავდათ, ის სიამტკბილობით
და მამა-შეილურათ ექცეოდა; დიტო აფასებდა მის ყურადღებას, სუ-
ლით და გულით უყვარდა მხოლოდ ის ერთათ-ერთი კაცი და რომ
გადაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუცხოვოთ სწავლობ-
და, მაშინ როდესაც სხვებისას ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ბევრ-
ჯელ საქმიან იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთათ-ერთი ალექსია-
ნი სიტყვა, რომ გაბოროტებული დიტო კარგ გუნდაზე დაეყენებია.
ერთ სალამოს დაიბარა სახლში; დიტოც, რასაკირცხელია, სიხარუ-
ლით მიეიღა მასთან; მასწავლებელი ისე კი არ დაუხედა პატარა
სტუმარს, როგორც უფროსი უნკროსს, ამხანაგურათ მიიღო, მოის-
ვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვა-და-სხვა საქმეებზე, რომ სულ
დაავიწყდა ბაეშს თავისი ვინაობა. პატარა სტუმარმა წარმოიდგინა,
რომ ჩემ ტოლ-მეგობარს კუზინარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა
გული და თითო კაკლათ უამბო თავისი თავ-გადასავალი. მასწავლე-
ბელი გულ-დაგულ უსმენდა, ერთხელაც არ მოსვლია ღიმილი მის
კუდაბზიკობაზე და რომ გაათავა, თვალ-ცრემლიანმა ბაეშმა თვისი
მწარე ამბავი, ჰკითხა:—მერე ჩა არის მანდ სასირცხო და სასინანუ-
ლო? ძალიან კარგი სურვილები გქონია და კიდევაც ეცადე, რომ
შენი გაზრახვა შეასრულოო! ის ახალგაზღა, რომელსაც ტარიელი
არ მოწონს, არ ცდილობს, რომ მას მიპაძოს, ჩალათაც არა ღირს
და მისგან სახეიროც არა გამოვარაო. ტარიელ-აეთანდილობა რა

დასაძრახისია? შენ მხოლოთ შემცდარხარ, სხვა გზით წასულხარ, თვარა კარგის მეტი არა ჩაგიდენია-რაო. გაოცებულ დიტოს ეგონა, რომ ესეც დამცინისო და მიაჭირა თვალები.—ჩემო პატარა მე-გობარო,—განაგრძო მასპინძელმა, ტარიელ და აეთანდილები ყო-ველთვის და ყოველგან ყოფილან და არიან კიდეც საჭირო. ის ხალ-ხი, რომელიც ტარიელ-აეთანდილებს ვერ წარმოშობს და ვერ გამიზ-დის, ხალხათაც აღარ იხსენება, უბედურია და გაჭქრება დედა-მიწის ზურგზე; ჩენ ქვეყანას ღმერთმა აშოროს ეს ხელრი, ვყოფილვართ და კიდეც უნდა ვიყოთ. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს, ღრმ-სხვა-და სხვა არის და ამიტომაც გმირები თავ-თავის შესაფერი ჰყავთ აღრინდელი, რუსთველის ღრო სხვა იყო და ახლანდელი, ჩენი, კი-დევ სულ სხვაა, ერთმანეთს აღარ ჰგავანან ფერ-შეცელილობით; მა-შინ ფიზიკურ ძალაზე იყო ყველაფერი დამყარებული. მახვილ—ი-რაღით შემოესევოდა ქვეყანას მტერი და თუ დამხედერათ ტარიელ-აეთანდილები ვერ მიეგებდოდენ ფარ-ხმალით, რაღა გადაარჩენდა ქვეყანას? მაშინ ვაჭკაცობა და მკლავის ძალა საჭირო იყო, მტაც-ბლობისა და სისხლის ღრის ღრო იყო, დღეს კი სწავლა-მეცნი-ერებაზეა ყოლიფერი დამკიდებული, მკლავის ძალა, გრძნობა-ვო-ნების ძლიერებათ შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა დ შეილდ-ისრისა—საწერ-კალამშა.

— მაშ დღეს ტარიელები აღარ არიან საჭირო? — დაეკითხა ცო-ტა გულ-დაწყეტილი დიტო,

— უფროც! უფროც! — უპასუხა საჩქაროთ მასწავლებელმა,— მართალია, დღეს გარეშე მტრები აღარ გვესვეიან, ველარც ქაჯებსა ეხედავთ და ველარც ხატაველებს, მაგრამ ის უგნურება და უმეცრე-ბა, რომელიც ჩენ ხალხს გარს არტყია, იგრევ ქაჯები და ხატავე-ლები არ არიან? ქვეყნის ბელნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი „წმიდათა-წმიდა“ უგნურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდი-ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყელუ-ლი? გამოხსნა უნდა და თუ ტარიელ-აეთანდილ-ფრიდონები ა-

გვეულებიან, ეინ უნდა გამოიხსნას? დიახ, ჩემი კარგი! როგორც ტარიელი იმ დროს ბურთაობით, ცხენოსნობით და ნადირობით იწერთნობა, იდიდებდა და იმაგრებდა ძალ-ლონეს, სანამ არ დავაჟ-კადა და მერე გამოვიდა ბრძოლის ველზე, ისე თქვენც დღესვე, ამ თავითე უნდა ავარჯიშოთ ჭყუა-გონება სატარიელოთ, თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბურთაო მოედანი — სასწავლებელია. როგორც პატარა ტარიელი იჭერდა და ერეოდა სხვა-და-სხვა შეცემას, ისე თქვენც უნდა დაიჭიროთ ხოლმე ხელში და სძლიოთ, მოერიოთ სხვა-და-სხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ გრძნობა-გონება და მერე გამოხვიდეთ ქვეყანაში საერჯიშოთ, საგმიროთ... მაგრამ უნდა გახსოვდესთ კი, რომ როგორც ტარიელი კერას გახდა მარტო, სხვების დაუხმარებლათ, ისე ვერც არას თქვენ გახდებით. ჩევენის მზე და მთვარე მარტო ქართლ-კახეთში კი არ ამოდის, მრავალ-კუთხიანია საქართველო! უნდა გამონახოთ ყოველგან აეთანდილ-ფრიდონები, დაიმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ... რომ მათი თანაგრძნობით ჭირი ადგილათ მოიქმოვოთ და ლხინში თავი დაიჭიროთ...

— არიან კი ჩევენში მაგისთანა ქალები? — კიდევ ჰკითხა დიტომ.

— ჯერ არა. ახლა უფრო ფატმანების დროა. ეს დიდ, შეცდომაა, მაგრამ ბრალი არ ედებათ ჩევენ ქალებს, ის დღევანდელი უკულმართი გაზღის ბრალი! მრუდე გზით მიჰყავთ და თქვენი ვალია, რომ დაუხვდეთ ხოლმე გზაში, შეაჩეროთ და სწორზე გადაახვევიოთ.

— ჩევენ?.. მაშ შეიძლება, რომ პატარა ერისთვის ქალიც გათინათინდეს?

— უფრო ელია. ჩევენში, როგორც ერისთვის, ისე ცალქალამანის ქალებიც, უკელა ერთგვარათ თინათინ-ნესტანებათ არიან გაჩენილი, მაგრამ დრო აუკულმართებთ და აფატმანებთ.

— შეიძლება, ეს უკელაფერი, რაც ბრძანეთ, გადავცე სხვებსაც? — ერისთვის ქალს? რატომ არა, მაგრამ ჯერ კი ნება არა გაქცე,

როდესაც შენ თითონ სწორ, სატარიელო გზაზე დაღუში და ბაყა-
ყით შემინებულ ნაცარ-ქექიას აღარ ეგვანები, მაშინ გადაეცი და
ისიც უფრო დაგიჯერებს.

პატარა მოწაფე აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტუებს და
ტანში რაღაც უჩვეულო სანეტარო ქრუანტელი უელიდა, მიგარდა
უცბათ და მოუნდომა თვალკრემლიანმა ხელებზე კოცნა, მაგრამ
უფროსმა აღარ აცალა, მიიკრა გულში მტირალი ბაეში და, ტკბი-
ლათ მომლიმარი, თავზე უსვამდა ხელს. ამ ერთმა წამმა შესცალა
სამარადისოთ დიტოს ბედი. სასიკედილოთ თავებადადებული ბაეში
გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი; ბევრ ხან
აღარ გაუელია, ორმ დაკარგული პირეელობა დაიბრუნა; უკეირდა
უველას და მიზეზი ვერ გაევოთ; იცოდა მხოლოთ ორმა ამ მიზეზის
საიდუმლო, დიტომ და მისმა საყვარელმა მოძღვარმა.

დიტომ ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია და გაიგზავნა უმა-
ლეს სასწავლებელში სახელმწიფო ზარჯით.

ერისთვის ქალი რაღა იქნა? იმანაც გაათავა საქალებო გიმნა-
ზია, მაგრამ მერც სწავლისთვის თავი არ დაუნებებია. თავის სამ-
შობლოს დაუდეა გრძნობა გონება და რომ მისი ქვეყნის წარსული
და მომავალი უკეთ გაეთვალისწინებია, შეისწავლა დედაენა, ისტო-
რია, რამდენიც კი შესაძლო იყო, ლიტერატურა და სხვანი. სულ
იმის გამოკედევაში იყო, თუ რას აკეთებდენ ჩვენი ძველი დედები
—რა ხელ საქნარი იცოდენ და როგორ ცხოვრებდენ, რომ მათ
მიბაძეით ახალი დროის შესაფერათ ისიც მათ კუალში ჩამდგარ ყო
სახელი გაითქვა; გამოუჩდენ საქმროები, ჯინჯილებიანი გვარის შე-
ლები, მაგრამ თინა უარზე იდგა; „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, უ-
დია გვარიშევილობაო!“ ამბობდა გუნდებაში და თანეე მოიგონებდა
ხოლმე ცალქალამანიძეს. „მისმან მზემან უმისოსა არეის მიხედვ
მთვარე მისიონ“.

აგაჭი.

მ წ ი პ ა რ ა

(თარგმანი)



ასწავლებელმა კლასის ოთახში შემოსვლისა-
თანავე შენიშნა, რომ იქ რაღაც ამბავი მო-
მხდარიელი. მოსწავლე ქალები და ვაჟები გრო-
ვათ შემოხვეოდენ ვიღაცას და ცხარეთა და ხმა მაღლათ
ლაპარაკობდენ; ეველას გულ-მოსულობა ეტეობოდა, ადა-
მიანი ვერაფერს გაიგებდა. აშკარა იუო მხოლოთ, რომ
ეძაწვილები ვიღაცას უწერებოდენ და ჰყიცხავდენ. დაინა-
სეს თუ არა რამდენიმე მათგანმა მასწავლებელი, მუისვე
ფურჩეული გაისმა: მასწავლებელი მოვიდა, მასწავლებე-
ლიო. ეძაწვილები დაწენარდენ; მასწავლებელი მივიდა მათ-
თან და ჰყიცხა:

— რა დაგემართათ, რა ამბავია?

ეველა ხმა-გაკმენდილი იუო და ერთ სკამს არ შორ-
დებოდა; ამ სკამზე იჯდა სონა. სონა სოფლის მწერალის
შეილი იუო; სასწავლებელში წელს შემოვიდა: მამა მისი
თავის სიცოცხლეს სულ ლოთობაში ატარებდა და ამი-
ტომ ცოლ-შეილი დიდ გაჭირვებაში ჰქავდა. სონას თავი
ძირს დაეხარა, თვალები მაგიდასათვის დაემტერებია; მის
ვამხდარ ჭორფლიან სახეს ნაცრის ფერი დასდებოდა; სე-

ლები მაგიდასათვის მოქადა, თითქოს ეძინა, მაღათი არსად წამათრიონო.

მასწავლებელი კიდევ დაეკითხა შეგირდებს:

— რა დაკემართათ? რა მოხდა?

— აი სონამ... დაპირა თქმა ფოსიამ, მაგრამ სიცილი წასკდა და ვერარ დააბოლოვა.

ფოსია მეტათ ჯანმრთელი, ცერიალა გოგონა იუო; — სახლიდან სასწავლებელში უველთვის გემრიელი სუზმე მოჰქონდა ხოლმე. თუმცა ცუდათ სწავლობდა, მაგრამ მალიან მხიარული ხასიათისა იუო; ლაპარაკის ღროს სულ იცინოდა.

მასწავლებელმა ჰქითხა:

— რაი სონამ?

— რაი და პური მომჩარა — დააბოლოვა ფოსიამ დაიწეო ხარხარი; მისი პატარა თვალები სიცილისაგან მსუქსნ ლოუებში ჩაიმალენ.

ამ ამბავმა მასწავლებელი მალიან გააოცა და გააკვირვა. სასწავლებელში ეს არასუდეს არ მომხდარა. მასწავლებელმა იცოდა, რომ ზოგი ემარტილი სახლში, სეოლაში შემოსვლამდე, მეტათ ცელები და ქურძ-ბაცაცა იუო, მაგრამ სასწავლებელში ამ გვარი საქციელა ჯერ არავის გამოუჩენა. სონას შესახებ ხომ არავითარ ეჭვის

არ აიღებდა; მას სონა მეტათ მშვიდი და უბოროტო ბავ-
ში ეგონა.

მასწავლებელმა შეხედა სონას და ჰქითხა:
— მართალია?

სონა ხმას არ იღებდა და უძრავათ იჯდა, თითქოს
გაჭვავებულაო. მასწავლებელი მიხვდა, რომ ფოსია მარ-
თალს აშბობდა.

ფოსიამაც წამოიგრძელა ენა:

— პირველათ ხომ არა მჲარავს, რამდენჯერმე მოუ-
ჲარავს მაგას ჩემთვის პური, დავდებ თუ არა აბგას, მა-
ინვე მოიპარავს. მე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ დღეს ჩე-
ის თვალით დავინახე, როგორ გამოიღო პური ჩემი აბ-
იდან, გაიქცა გარეთ, მოეფარა ხეს და ჭამა დაუწეო. მე
რომ მივედი იქ, მაგას მალიან შეემინდა: ოდონდ მასწავ-
ლებელს ნუ ეტევი და ნახავს მოვიტანო.

მასწავლებელმა კიდევ ჰქითხა:

— მართლა სონა?

სონა ხმას არ იღებდა. ერთმა უფროსმა შეგირდმა,
რომელიც ჭკუა-ხეპრე და შეუბრალებელი გულისა იუო,
დაიწეო ბრიუვულათ ლაპარაკი:

— რადა კითხვა უნდა? არ ეტეობა, რომ მართლა
მოუპარავს? გარგი ხელობა დაუწეია — ქურდობა! რადა
ლაპარაკი უნდა, — სკოლიდან გამოაგდეთ,

შეგირდებმა დაიძახეს:

— უნდა გამოაგდოთ, უნდა!

— რათა? მშვიდის ხმით დაეკითხა მასწავლებელი.

— იმიტომ რომ ეგ ქურდობს და თქვენ ან ჩვენ ან სხვას დასწამებთ ცილს. თქვა ზოგმა.

— თუ ქურდობა დაიწევეს, სკოლაში ვეღარაფერს გა-
ღარ მოიტანს ადამიანი, — განაგრძეს სხვებმა.

— განა კარგია, ქურდები რომ დაგვიძახონო? ამბო-
დენ დანარჩენები.

ამაზე მასწავლებელმა მიუკო ეველას:

— ემაწვილებო, თქვენ კიდეც გარდაწევიტეთ სონა
სკოლიდან გამოგდება და ის კი არ იცით, საქმე რაშია
შეიძლება, სონა სრულიადაც არ იუს დამნაშავე; მაგ-
საც უნდა გამოვკითხოთ.

მოზრდილმა შეგირდმა კიდევ დაიწეო:

— რაღა გამოკითხა უნდა, ისეც ეტუობა?

მაგრამ სხვებმა მიაძახეს;

— გაჩუმდი, მასწავლებელი მართალსა ბრძანებს; მა-
ინც უნდა ვიცოდეთ, სონა რას იტევის.

ეველა სონასკენ მიბრუნდა, ეველამ მას მიაჰერო თვა-
ლები. ეველა ელოდა, რას იტეოდა; მაგრამ ის გაქვავ-
ბულსავით იჯდა. მოკუნტულიუო, თავი და კისერი მიწის
დაეხარა, ბეჭები ამოეწია, თითქოს ეგონა, აი ცემას და-
მიწებენო, თუმცა დარწმუნებული იუო, რომ სკოლას
ვერავინ გალახავდა.

— აბა, სონა, თქვი! მიუბრუნდა მასწავლებელი.

სონა კიდევ ხმას არ იღებდა.

— ჩვენ ართფერს არ გერჩით, მხოლოთ მართლის გაგება გვინდა; იქნება საქმე ისეც არ იუო, როგორც ესე-ნი ამბობენ; მე კი ასე ვფიქრობ, რომ სხვანაირათ იუო, უთხრა კიდევ მასწავლებელმა. სონა წამოწითლდა, მაგრამ მაინც არა თქვა-რა. მასწავლებელი კიდევ მიუბრუნდა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ დამნაშავე არა ხარ და ფოსია შემცდარია.

სონამ კიდევ უფრო დაღუნა თავი.

— ალბათ შენს პურსა ჭამდი, რადგანაც ვერავინ ვერ დამაჯერებს, რომ შენ ქურდობა შეგეძლოს. ეუბნებოდა მასწავლებელი.

ამ დროს გულ-ამომჯდარი და საცოდავი ტირილი მოისმა; სონას თავი მაგიდაზე დაეურდნო და გულ-საკლა-ვათ ქვითინებდა.

შეგირდები დაწენარდენ, თვალები დაბჭეიტეს და სულ-განაბული ატირებულ სონას მისჩერებოდენ.

მასწავლებელი მიუბრუნდა სონას:

— ნუ ტირი! თუ ტეუილია...

— მართალია, მართალი! წამოიძახა უცებ სონამ: მე მოვიჩარე! და კიდევ უფრო მოუმატა ტირილს.

დიდ ხანს იტირა სონამ; როცა ცოტა დამშეიდდა, მასწავლებელი მოუჯდა გვერდით და ჭკითხა:

— რათ ჩაიდინე მერე მაგისთანა საქმე?

სონამ ვერა უპასუხა-რა. მასწავლებელი ატეობდა, რომ მას მიზეზის გამსელა საშინლათ ემნელებოდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, რაღაცას თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ჟებედავდა, ბოლოს თქვა:

— მშიოდა.

— განა სახლში არა გიჭამია-რა? დაეკითხა მასწავლებელი.

— არა, არ მიჭამია.

— რატომ?

სონა ისევ გაჩემდა: ხელ-ახლათ მწარე ქვითინი და იწერ და შემდეგ განაგრძო:

— ჩვენ... ჩვენ... საჭმელი არა გვაქვს... მამაჩემს სახლი არაფერი მოაქვს... და მეტი ვეღარა თქვა-რა.

გაკვეთილი, დიდი ხანია უნდა დაეწეოთ, მასწავლებელმა მოჰყიდა ხელი სონას, მოეფერა და წაიუვანა თავის ოთახში. შემობრუნდა თუ არა, ათიოდე უმაწვილს ერთბაშათ პური გაუწოდეს მასწავლებელს:

— სონას მიეცით, ჭამოსო!


მასწავლებელმა შეგირდებს შეხედა. უმაწვილები აღელვებული იუვენ. ზოგი კიდეც ტიროდა. მან გამოართა უველას საჭმელი და სონას წაუდო, მაგრამ ის აღარაუერს აღარ ჭამდა და ტიროდა. მასწავლებელმა დაამშედა სონა, შევიდა ოთახში და უმაწვილებს სწავლის და



წევბის წინ ლოცვა აგალობა. გალობის ღროს მან სონა კლასში შეძოიუგანა.

ამას შეძევებ სონას დადხანს რცხვენოდა მასწავლებლისა, ჰავრაშ აღარც ის, აღარც შეგირდები ძველ ამბავს აღარ გაახსენებდენ ხოლმე. თავის შეცდომა სონას კარგათ ახსოვდა და მას შეძევებ კერძოული ვერ გააბრიუგებდა. ახლა ის უკელას მალიან უკვარს და სახლიდან მოტანილ საჭმელს უიმისოთ არავინ არ შეჭამს. წელს სონა სწავლას დაამთავრებს და ჭირიანი და პატიოსანი ქალი იქნება.

ვანო.





ଧର୍ମଶବ୍ଦୀ ଓ ଫୋର୍ମ୍‌ସ୍.

(ଥିବା ଦୃଶ୍ୟ)

କାଳ ଦାୟିବାଲିନ୍ଦ୍ର ଧର୍ମଶବ୍ଦୀ,
କ୍ଷେତ୍ରରେ ରାଗାରୁପ ଦୂଷଣ;
ଦ୍ୱାୟଶ୍ଵର, କ୍ଷେତ୍ରକୁଞ୍ଜ କାମକାଳି,
କୋମ କ୍ଷେତ୍ରମାତା କାର କୁପୁରୁଷି?

—
ଦୂଷଣକୁଞ୍ଜରେ ଶଲ୍ଵା ଧର୍ମଶବ୍ଦୀ,
ମହାବିତାରୀ, ଦାୟିଦରମାତା.
ଧର୍ମଶବ୍ଦୀରେ ଉତ୍ତରା: କାତା କାର
ଦୂଷଣ-କାରଦି, ଦାୟିଦରମାତା!

ყველას რომ შენკუნ იზიდავ
ეწევთ, იპატიფებო,
განა მეც ამიყოლიებ
და მათებრ გამაგიფებო?

ისეც ბეერი გაქვს ხომ წყალი,
საშენოთ ალარ მცალია,
მე იმას მივეშველები,
ვინც უფრო შესაბრალია.

აბა შეხედე იმ ყანას,
რა ჩიგათ ჩახურებულა,
არც ერთ თავთავში მარცვალი
ჯერაც არ დასრულებულა.

წავალ, გადეივლი, იქითკენ
გადავესხურ-გადვენამები,
რომ დაეუბრუნო ისევა
მას სასიცოცხლო წამები.

სიმინდსაც გადვეპურები,
სელ ახლათ გავაღალანებ,
პატრონის გულსა ვახარებ,
მტრის ენას ავაყაყანებ.

უთხრა და ზღვასა ვაშორდა,
გასწია, გადაიარა,
დასწეიმა მინდორ-ეელებსა,
ზღვას არა მისცხებიარა.



კატარის ლოგისტიკური თავმ-გადასახადი.

აეში ყურადღებით მისჩერებოდა ბაბუას და ნელ-
ნელა მიუახლოვდა მას.

—თქვენ ხართ გრაფი? —ჰყითხა მან. — მე
თქვენი შეილიშეილი, ლოტე ფაუნტელროდ,
ვარ! ხევიშაშმა მომიყვანა. — და ბავშმა ხელი
გაუწოდა, ეგონა, ზრდილობა ამას მოითხოვსო,
— ძალიან მესიამოენა თქვენი ნახვა.

გრაფმა სელი ჩამოართვა. ისე გაკვირვებული იყო, რომ არ იცოდა, რა ეთქვა, მხოლოდ

თავიდან უეხებამდის ათვალიერებლა ამ შვენიერ ვაჭს.

—გესიამოვნა ჩემი ნახეა? —დაეკითხა ის ბოლოს.

— დიახ, ძალიან! — მიუგო პატარა ლორდმა და იქვე შესკუპდა
მაღალ სკამზე. მისი ფეხები ვერც კი წვდებოდენ იატაკს, მაგრამ მა-
ნც დამშვიდებულათ იჯდა და პირდაპირ მისჩერებოდა მოხუ-
გრაფს.

— ხშირათ ვფიქრობდი, — განაცრო ყმაწეილმა, — ვის უნდა გვ-
ნებოდით. მე მეგონა, მამა ჩემს ემგვანებოდით.

— გერე არ ვგავარ?

— შეიძლება კარგათ არ მახსოვეს, ძალიან პატარა ვიყავი, როცა
მამა გადაიცეალა, მაგრამ მაინც მგონია, რომ არა!

— ძალიან გწყენს მერე ეგ?

—არა! — პატივისცემით უპასუხა ცედლიკმა. — რასკვირველია,

კელა ჩეენგანს უნდა, რომ მაშა ჩემს ჰგავდეს, მაგრამ ბაბუა მაშინაც საყვარელია, როდესაც მამას არა ჰგავს. ხომ იცით, ახლო ნათესავები ყოველთვის მოგვწონს.

გრაფი საერძელში გადაწეა. მას მაინც და მაინც ძალიან არ მოსწონდა ახლო ნათესავები!

— ყოველ ბავშს უყვარს თავისი ბაბუა! — განაგრძო პატარა ლორდმა. — განსაკუთრებით ოქეენისთანა კეთილი...

გრაფის თვალებმა სხვანაირათ იელვეს.

— განა მე ძალიან კეთილი ვარ? — თქვეა მან.

— ძალიან! — აღტაცებით წამოიძახა ცედრიკმა. — მე ძალიან მაღლობელი ვარ ბრიჯეტის, ვაჭარი ქალის და დიკის მავიერათ.

— ბრიჯეტი? ვაჭარი ქალი? დიკი? — გაკუირვებით გაიმეორა გრაფმა.

— ჰა! — აუხსნა ცედრიკმა. — თქვენ არ გამომიგზავნეთ ხევიშამის ხელით მათთვის ფული?

— ჰა! მესმის! — წაიღუდუნა გრაფმა. — მე მიეცე ფული შენ საჩუქრათ. აბა მომიყევი, რა იყიდე! რაში დახარჯე შენი ფულები?

მოხუცი მოიღუშა და დაკუირვებათ მიაშტერა ბავშს თავისი გაჭრიახი თვალები.

— თქვენ ვერ იცნობთ ბრიჯეტს, ვაჭარ ქალს და დიკს! — დაიწყო პატარა ლორდმა. — მე კიდეც დამავიწყდა, ამ სიშორეს რომ ქოვრობი. ისინი — ჩემი მეგობრები არიან. მიქელი ძალიან ავათ იყო...

— მიქელი ეინდა არის?

— ბრიჯეტის ქმარი. და ბავშმა აუწერა საბრალო იჯახის მდგომარეობა და როგორ დაეხმარა მას.

— ჰა! მაშ ეს შენი პირველი სურეილი იყო. სხვა? შენთვის ჩალა იყიდე?

დუგალი კი ამ დროს ცედრიკის მაღალ სკამთან მოთავსებულიყო და ხშირ-ხშირათ იბრუნებდა მისკენ თავის უშველებელ ბუმ-

ბერაზ თავს. გრაფი თვალს არ აშორებდა მას და უკვირდა, რომ ეს აერ, მიუკარებელი ძალი ასე წყნარათ უზის უცხო ბავშვს გვერდში. სწორეთ ამ დროს დუვალმა მეგობრულათ შეხედა პატარა ლორდი და თავი ჩაუდევა კალთაში. ცედრიკმა მოფერებით დაუწყო თავს პატარა ხელის სმა ამ ახალი მეგობრის ლომის მსგავს თავს.

—აი, დიკი ნამდეილათ მოგეწონებოდათ! — ცოტა ხნის გეთ დაიწყო ისევ პატარა ლორდმა. — ისეთი სასაცილოა! წალებს წმინდა ქუჩაში!

— მერე შენ საიდან იცნობჟი?

— ის ჩემი ძელი მეგობარია; გამოთხოვების დროს აი, ეს მა ჩუქა.

ცედრიკმა ამოილო წითელი აბრეშუმის ხელსახოცი და ფრთხოათ გაშალა.

— არაოდეს არ დავკარგავ, არაოდეს! კარგია, არა? ყელზე მოხეევაც შეიძლება და ჯიბეში ჩადებაც. როცა ჯეკილან გამოვიხსნა და ცალკე მუშაობა დაიწყო, როგორც კი მოიგო ფული, მაშინეუ ეს იყიდა! მისტერ გობსს მე ოქროს საათა ვაჩუქე და ზედ ამოექც რევინე: — „როდა დასკედოთ, მე გამიხსენეთ.“ მე კი, როცა ამ ხელსახოცი დავხედავ, დიკს გავიხსენებ ხოლმე

ძნელი ასაწერია, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ბავშვის სიტყვები დიდებულ გრაფ დორინიკორტზე! ის არაოდეს არ აქცევდა უურადღებას ბავშვებს, თელიდა მათ უსიამო პატარა პირუტყვებათ, რომლებსაც ადამიანი ძალიან სასტიკათ უნდა ეპურობოდეს; მართალია, მას ახსოედა ცედრიკის მამა ბავშობაში, რომელიც ძმებს სილამაზითაც სჯობდა და სწავლითაც, მაგრამ მისი უმჯობესობა კიდეც სწყენდა და აწუხებდა. შეილიშეილი მარტო იმიტომ გამოიწერა ამერიკიდან, რომ თავის მომავალი მემკვიდრის ლირსეულათ გამოზრდა უნდოდა და წინდაწინვე სკდებოდა გულზე, როცა წარმოიდგენდა გაუზღულ, ხეპრე ამერიკელს, რომელიც საუბედუროთ მისი შეილიშეილი იყო... ახლა კი გრაფმა არ იცოდა რა ექნა, ის ხედავდა თავის წინ

შეენიერ, ლამაზ და მოხდენილ, კარგათ გახდილ პატარა ვაჭს, რომელიც დაუფარავათ უამბობდა ყველაფერს, რაც კი შემთხვეოდა თავის მოკლე სიცოცხლეში... ყველაზე საკეირველი მოხუცი გრაფის-თვის კი ის იყო, რომ ბავში სიყვარულით ექცეოდა, დარწმუნებული იყო, რომ ბაბუა ნამდეილი მისი გულითადი მეგობარი გახდა. გრაფი დაუფარავი აღტაცებით მისჩერებოდა ბავში და სიამოვნებით უგდებდა ყურს მის ლაპარაკს, აძლევდა სხვა და სხვა კითხვებს და ერთი წამითაც ერ აშორებდა მას თვალს. პატარა ლორდიც დაუღალეათ უყვებოდა დიკზე და ჯეკზე, ვაჭარ ქალზე და გობსზე, რესპუბლიკის სხვა და სხვა კრებებზე, ოთხი იელისიც კი ახსენა, მაგრამ უცემ შეკრთა და შეჩერდა.

—რა დაგემართა, რათ გაჩუმდი? —ჰკითხა ბაბუამ.

პატარა ლორდი სკამზე აცმუტდა.

— გამახსენდა, იქნება ეს ლაპარაკი არ ვესიამოვნებათ! — უპასუხა მან. — შეიძლება ვინმე თქვენიანი ერია იმ ამში. დამავიწყდა, ინგლისელი რომ ხართ.

— განაგრძე, ჩემიანი იქ არავინ არ გარეულა. შენ, მგონია, გავიწყდება, თითონაც რომ ინგლისელი ხარ?

— არა! — სწრაფათ მიუგო ცედრიკმა. — მე — ამერიკელი ვარ.

— შენ ინგლისელი ხარ! — ისევ გაიმეორა მოხუცმა გრაფმა. — მამა შენი ინგლისელი იყო!

მას ეხალისებოდა ბავშთან დავა. ცედრიკი კი შეწუხდა და მოლათ ერთიანათ გაწითლდა.

— მე ამერიკაში დაეიძადე! — ბუტბუტობდა ის. — და ვინც ამერიკაში დაიბადა, ის ამერიკელია. მისტერ გობსმა თქვა, რომ თუ ომი იქნება, მე... მე ამერიკელების მხარეს უნდა ვიყო.

გრაფმა თუმცა ცინეთ, მაგრამ მაინც გაიღიმა. ყველაფერი ამერიკელი ეჯავრებოდა, მაგრამ სამშობლოს პატარა მოსიყვარულეს ლაპარაკი ესიამოვნებოდა და სიამაყით ფიქრობდა, ერთ დროს ამ ბავშისაგან ნამდეილი კარგი ინგლისელი გამოვაო.

ჯერ ამერიკელების განთავისუფლებაზე არ გაეთავებინათ ლაპა-
რაკი, რომ მსახური შემოვიდა და მოახსენა, სადილი მზათ არისო.

ცედრიკი წამოდგა, მიუახლოვდა ბაბუას, შეხედა მის ქარების
ფეხს და ჰეიტა:

—არ შეიძლება, რამეთი მოგეხმაროთ? დამებჯინეთ მხარზე.
როცა გობსმა იტკინა ფეხი, ყოველთვის მე დამებჯინებოდა ხოლმე.
მსახურმა ძლივს შეიკავა სიცილი, თუმცა ამის გულისთვის ადვილი
შესაძლებელი იყო, ადგილიც დაეკარგა. ის ყოველთვის დიდკაცების
სახლში მსახურობდა და ბატონების წინ აჩაოდეს არ იღიმებოდა.

მოხუცმა გრაფმა თავიდან ფეხებამდის ჩათვალიერა ბავში.

—შეგიძლია მერე რომ დამიმაგრო?

—მე მგონია რომ შემიძლია. ძალიან ღონიერი ვარ; და-
ხაც! მერევ წელიწადში გადაედექი. აი, ერთ ხელში ჯოხი დაიკავეთ,
მეორე მე დამადეთ მხარზე. დიკი ამბობს, რომ ჩემი ხნისთვის ძა-
ლიან ღონიერი მკლავები მაქეს!


ცედრიკი ნელ ნელა მოლუნა მკლავი და აბერილი ძარღება
აჩვენა ბაბუას. ყველა ეს ისეთი დინჯათ და თავგამოდებით ჰქინა,
რომ მსახურმა ისევ მიიბრუნა სახე ღიმილის დასამალავათ.

— კარგი, ვშინჯოთ.—გაილიმა გრაფმაც.

ცედრიკი ჯოხი მაწოდა და ადგომაზე დაეხმარა. უამისოთ
ყოველთვის მსახური აუკენებდა ხოლმე და მოხუცი გრაფი ყოველ-
თვის წყრებოდა, როგორც კი გაურბენდა ფეხში ქარები, ახლა კი
გაჩუმებული იყო, თუმცა ფეხი ძალიან ტკიოდა. მას ბავშის გამოც-
და მოუნდა. ის დაეყრდნო შეილი-შეილის მხარს, ცედრიკი კი
ფრთხილათ გადადგა ნაბიჯი და ყურადღებით აღევნებდა თვალს ბა-
ბუას მტკიცან ფეხს.

— ძალიან დამებჯინეთ, ნუ გეშინიათ, ნელ-ნელა წავალ... ეუ-
ნებოდა ის.

მოხუცი გრაფი განგებ თითქმის მთელი თავისი სიმძიმით დაწე-



ბაქშს,—ჩამოდენიშვილი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ბავშის სახე მთლათ აინთო, გული აუკანკალდა, მაგრამ მაინც თავს იყავებდა.

— ნუ გეშინიათ! — სულ ამას იმეორებდა, თუმცა დალალეისა-
ვან სულიც ველარ მოეთქვა. — მე არ მიჰირს, შორს ხომ არ არის!
სასალილო ოთახი მაინც არ იყო შორს, მაგრამ პატარა ლორდის
მოეწენა, მთელი ერთი საათი მივდიგართო.

— ძალიან გტკივათ ფეხი? — ჰეითხავდა ის ბაბუას. — მერე არ
სადებთ ხოლმე ცხელ წყალში? მ-სტერ გობსი ყოველთვის ასე შერე-
ბოდა... .

მსახური და ძალლი მათ უკან მოდიოდენ. მსახური გაკვირვე-

ბით უყურებდა ამ პატარა ბავშვს, რომელიც ასე მედგრათ იტანდ იმისთანა სიმძიმეს, გრაფი კი რაღაც სხვანაირათ მიჩრებოდა შეა-ლი-შეილის აწითლებულ სახეს.

როგორც იქნა, მიაღწიეს სასადილო ოთახამდის. გრაფი და და თავის სკამზე, ცედრიკმა კი დიკის ნაჩუქქრი აბრეშუმის ხელს. ხოცი ამოილო და შუბლი მოიწმინდა.

— რა ცხელა დღეს! — თქვა მან. — უთურთ ცეცხლს ანთები-ნებთ თქვენი ფეხისათვის...

— შენ ჩემი მოყვანა გაგიჭირდა... შეაწყვეტინა გრაფმა.

— არა, სულაც არ გამჭირებია, ოლონდ ცოტათი დამტკა... მაგრამ ზაფხულში ხომ ყოველთვის ცხელა! და ბავშვია ისევ მოიწ-მინდა მთლათ დასველებული ხუჭუჭი თმა. მისი ადგილი სტოლის მეორე ბოლოზი, გრაფის პორ-და-პირ იყო. სკამი ნამეტანი მაღალი დაედგათ, და საზოგადოთაც, ყველაფერი, ეს უშველებელი ოთ-ხი, უშველებელი ძალი, მაღალი მსახური და თვით გრაფიც ისეთ დიდები იყვნ, რომ ბავშვი მათ შორის ცერის ტოლა ძლიერს მოჩანდა.

თუმცა გრაფი მარტო ცხოვრობდა, მაინც არაფერს იკლებდა და სადილი საუცხოვო ჰქონდა. სასაცილო სანახავი იყო დიდებული გრაფი სტოლის ერთ ბოლოზე და ერთი ნამცეცა ბავშვი მეორეზე. სტოლი საესე იყო მდიდარი ჭურჭლით და ბრწყინვალე შანდლებით, გარშემო კი უსიტყვოთ და უძრავათ იდგენ მსახურები. გრაფი უღ-რიეს არ აცილებდა თვალს და სულ ატიტინებდა. არაოდეს არ ევ-ნა, თუ რომელიმე ბავშვის ლაპარაკი შეიქცევდა და გაართობდა, ა-ლა კი სულ წინააღმდეგში ჩრშუნდებოდა. ბაბუას ისიც არ ავიწყუ-ბოდა, რა მამაკათ აიტანა შეილი-შეილმა მისი სიმძიმე და მაინ-მოიყვანა ამ სტოლთან.

— გრაფობის გვირგვინი ყოველთვის არ გახურაესთ ხოლ-მე? — ჰქონთხა ცედრიკმა სადილის დროს.

— არა! — ღიმილით უპასუხა გრაფმა. — ის მე სრულებით ა-შეენის.

ჰაგარა ლორდი

33

— მისტერ გობსმა თქვა თქვენზე, უთუოთ ყოველთვის ხურავსო, მხოლოდ მაშინ მოიხსნის ხოლმე, როდესაც ქუდს დაიხურავს.

— მართალია, მოეხსნი ხოლმე.

ერთმა მსახურთაგანმა რაღაც საეჭვოთ ხეელება დაიწყო, თანაც პირზე ხელი მიიფარა.

ცედრიკმა პირველმა გაათავა სადილი, მიეყუდა თავის სკამს და ოთახის თვალიერება დაიწყო.

— ძალიან უნდა ამაყობდეთ თქვენი სახლით, ბაბუა! — თქვა მან ბოლოს. — რა შეენიერია! ამისთანა მე ჯერ არათერი მინახავს! მაგრამ ჯერ ხომ მარტო შეიდი წლისა ვარ და საზოგადოთ, ბევრი არათერი მინახავს.

— მაშ შენ ფიქრობ, რომ უნდა ვამაყობდე ამ სახლით?

— დიალაც ყველა უნდა ამაყობდეს ამისთანა სახლით. ჩემი რომ ყოფილიყო, მეც ასე ვიზამდი. რა ლამაზი წალკოტია! რა ხეებია! რა სასიამოენოთ შრიალობენ ფოთლები!

ბავში შეჩერდა, ცოტა ხანს იქით ისევ დაიწყო.

— მაგრამ ნამეტანი დიდი ხომ არ არის ეს სახლი ჩევნ ორის-თვის?

— ძალიან დიდათ გეჩვენება?

— არა, მაგას არ ვაშობ. მე ვაშბობ, ჩევნ ორი თუ მეგობრულათ არ ვიცხოვერებთ, ძალიან მოჯვრინდება ამ უშეელებელ სახლში.

— და როგორ ფიქრობ, მეგობრულათ ვიცხოვერებთ თუ არა?

— რასაკეირეველია, მეგობრულათ. მე და მისტერ გობსიც ძალიან მეგობრები ვიკავით. მე ის „ძეირფასის“ გარდა, ყველაზე უფრო მიყეარდა.

მოხუცმა წარბები შეიკრა.

— ვინ არის „ძეირფასი?“ იკითხა მან.

— ჩემი დედა. — ცოტა ხმა-დაიდაბლა და უპასუხა პატარა ლორდმა.

ბავში დაიღალა. ამდენი ახალი შთაპეჭდილება ართობდა აქამ-

დის, მაგრამ ახლა გაახსენდა, რომ პირველათ არ დაიძინებს თავის დედასთან ერთ ოთახში, და მოიწყინა. დედაზე ფიქრი აღარ შორ დებოდა, ლაპარაკის სურვილი დაეკარგა და გრაფმა შენიშნა, რა შწუხარების ღრუბელმა გადაურბინა ბავშს სახეზე. ბავში მაინც არა ეს არავერს ამჩნევინებდა და როცა ნასაღილევს ისევ წიგნთ-საცა ოთახში ბრუნდებოდენ, მარ ისევ წაიყვანა გრაფი, თუმცა ბაბუა ახლა თითქმის სულ აღარ აწვებოდა მხარზე.

როცა მსახური ოთახიდან გავიდა, პატარა ლორდი ხალიჩაზე დაჯდა ბუხრის წინ და დაფიქრებით დაუწყო ხელის სმა იქვე მიწო ლილ დუგალს. გრაფი თვალს არ აცილებდა და შენიშნა, რომ ბავშ მა ორჯელ-სამჯელ ამოიხვეშა.

— ფაუნტელროი, რაზე ფიქრობ? — ჰეითხა მან.

პატარა ლორდმა თავი ასწია და ძალ-დატანებით გაიღიმა.

— „ძვირფასზე“ ვფიქრობდი. მეონია სჯობს, რომ ავდგე და გაეიარ-გამოეიარო.

ბავში წამოდგა, ჩაიწყო ჯიბეებში ხელები და წინ-და-უკან სია-რული დაიწყო; ტუჩები მაგრათ მოკუმული ჰქონდა, თვალებში ცრებ-ლები უბწყინავდა, შაგრამ მაინც მხნეთ აეწია ზევით თავი და ყოჩა-დათ დადიოდა. დუგალი კუდში მისდევდა და ცნობის-მოყვარეობით მისჩერებოდა. პატარა ლორდმა თავზე ხელი დადგა.

— რა კარგი ძალლია! — თქვა მან. — კიდევაც დამიმევობრდა, ყველაფერი ესმის და ყველაფერს გრძნობს.

— რა დაგემართა? — ჰეითხა გრაფმა.

ის ხედავდა, რომ ბავში სახლში დედასთან წასელის სურვილს ებრძოდა და მოსწონდა, რომ ასე ყოჩალათ ეჭირა თავი.

— მოდი აქ! — დაუძახა მან

ბავში მიუხსლოვდა.

— არაოდეს არ მიმიტოვებია სახლი! — ნელი ხმით თქვა მან. რაღაცა მეუცხოვება სხეისას ლამის გათევა. მაგრამ „ძვირფასი“ ხის შორს არ არს, მითხრა, ნუ დაივიწყებ, რომ აქე ვარო. მე ახლა დიდი ვარ. შეიდი წელიწადი დიდი ხანია შემისრულდა და შემიძლია მის სურათს ეუყურო ხოლმე.

პატარა ლორდი

ბავშვა ჯიბილან პატარა, სოსანი ხავერდით გადაჭრული კოლოფი ამოილო.

— აი, სურათი! აქ უნდა დაჭირო თითი, სახურავი აიწევა და შეგნით სურათია.

პატარა ლორდი გრაფის გვერდში იდგა და ამ სიტყვებით მე-
გობრულათ მიეკრა მის მხარს.

— აი „ძეირფასი!“ ლიმილით თქვა ბავშვა.

გრაფი მოილუშა. მას არ უნდოდა დაეხედნა, მაგრამ უნებუ-
რათ მაინც დააჩერდა სურათს. ახალგაზდა ქალის შეენიერი, უმან-
კო სახე ისე გავდა ცედრიკის სახეს, რომ გრაფი შეკრთა.

— ძალიან გიყვარს? — ჰკითხა მან.

— ძალიან! — გულ-ახდალათ უბასუხა ბავშვა. — ძალიან მიყვარს!
მისტერ გობსი ჩემი დიდი შეგობარია, დიკი, ბრიჯეტი, მერი და მი-
ქელიც შეგობრები არიან, მაგრამ „ძეირფასი“ — ჩემი საუკეთესო მე-
გობარია. მე და ის ერთმანეთს უველაურს ვეუბნებით. მამაჩემა
„ძეირფასი“ მე დამიტოვა, ძალიან უნდა გაუუფრთხილდე; როცა
გაეიზრდები, მისთვის უნდა ვიმუშავო.

— მერე რას აპირობ, როგორ უნდა იმუშავო?

პატარა ლორდი ისევ ხალიჩაზე დაჯდა და დაფიქრდა, სურათი
ისევ ხელში ეჭირა.

— ჯერ გობსავით ვაჭრობას ვაპირობდი, მაგრამ პრეზიდენ-
ტობა კი მირჩევნია.

— ჯობს, რომ ლორდები დარბაზში გაგგზავნო.

— კარგი, თუ კარგი სამსახურია. ვაჭრობა უმველოფის არ არას
სასიამოვნო.

გრაფი გაჩუმებული იყო და თვალს არ აცილებდა შეიღი-
შეიღის. დუგალს თავი თათებზე დაედო და მაკრათ ეძინა. ნახევირ
საათს შემდეგ მისტერ ხევიაში შემოვიდა. ოთახში სიჩუმე სუფევდა.
გრაფი წელში გაიმართა, როცა მოურავი მის საეგარელს მიუახლოვ-
და და ანიშნა, ფრთხილათ იყავიო, პატარა ლორდის ხალიჩაზე და-
სძინებოდა ვეებერთელა ძალლის გვერდით, თავისი ლამაზი, ხუჭუ-
ჭა თავი პატარა ხელზე დაეყრდნო.

— ბა.

(შემდეგი იქნება)

გაზაფხულის სიმღერა.

პაპა,— ისეე გაზაფხულდა,
ღალანებენ ყვავილები;
ფრინვლების ტკბილ ჭიკჭიკ-მღერას
ბანს აძლევენ მთა-ველები!..

აპა,— ზეცის სიერცეშიაც
მხიარულათ მზე ბრწყინვალებს;
დედა-შიწას მინდერათ მწერელი
გულს უბრუნებს, უვლის კვალებს...
—

აპა,— ყველამ გაიღვიძა,
შრომობს, საქობს, დაუუსფუსებს;
შეხე ერთი, რა ყოფა აქვთ
ჭიანჭველებს, ფუტკარს, ბუზებს!..

აპა,— ისევ გაზაფხულდა,
გამოცოცხლდა ყველავერი;
სამეჯლისოთ შეიცვალა
ბუნებისა სახე, ფერა!..

აბა, მაშ ჩეენ ც გავიხაროთ,
გამოეფხიზლდეთ, ძილი კმარა;
შევეველროთ შემომქმედს და
ხელი მივყოთ სწავლას ჩქარა!..

თეოზ. განდელავი



მ ა რ გ ა ლ ი ტ ი.



IV.

ოკორც პირველ წერილში მოვიხსენიეთ, მარგალიტის ლოკოვინები ზღვაში ცხოვრებენ, თუმცა კი ზოგ მდინარეებშიაც ბევრი სვდება. ვისაც მარგალიტის შოვნა სურს, იმან ზღვაში ჩასვლაც უნდა იცოდეს, რომ ზღვის ძირიდან ლოკოვინები ამოიტანს. რაც უნდა ჯანიანი კაცი იუოს უჭაეროთ, უსუნთქველათ ზღვის სიღრმეში ერთ წამზე მეტს ვერა ძლებს და, რაღა თქმა უნდა, ერთ წამში ბევრს ვერას იძოვის.

ეკრობიელთ მოიგონეს საგანგებო სამოსელი, რამ-ლითაც წეალში ჩასვლაც ადვილია და ჰაერიც უკლებლათ აქვს. ეოველისფრით ჯან-მოთელ კაცს ტანზე ჩააცმევენ ხოლმე რეზინის სქელ შერანგს, თავზე კისრამდე ჩამოაფ-საფამენ თითბრის კასრს, რომელსაც თვალების პირ-და-ბირ მინის სარკმელები აქვს. ხოლო სიმძიმისფინას ფეხებზე აცმენ ოც-ოც გირვანქიან ტევის კალოშებს და მხა-თარ კაცი — რა სიღრმეზედაც გნებავთ ადვილათ ჩავა ზღვა-ში. მაგრამ თავი და თავი საქმე ჰაერია, ამ კაცს ჰაერი

უკლებლათ უნდა ჰქონდეს, ოომ დიდხანს შეძლოს ზღვა-
ში მუშაობა.

აი ეს ოოგორ მოახერხეს: თავზე ჩამოცმულ კასრის
ლულა აქვს დატანებული, ამ ლულაზე ჩამოცმულია თოკის
სისხო რეზინის მილი, ოომელიც მლიერ გრძელია და
მისი ცალი წვერი მაღლა ნავზეა გამაგრებული. ამ ჭავ-
რის მილს ნავზე საგანგებოთ ერთი კაცი ჭეავს მიჩემებუ-
ლი, ოომელიც მოვალეა სუფთა ჭაერი უკლებლათ უგ-
ზავნოს ზღვაში ჩასულ კაცს; ზოგჯერაც წეალში მავალ
კაცს ჭაერის მილის ბოლო ჩიბუხივით პირში უჭირავს
და ისე სუნთქავს, ხოლო გაფუჭებულ ჭაერს ცხვირის
ნესტოებით ამოისუნთქამს ხოლმე. ამასთანავე წეალში
მავალს ერთი თოკიც წელზე აქვს მობმული, ოომლითაც
მას ჩაუშვებენ ხოლმე წეალში. ამ თოკის წვერიც ნავზეა
დამაგრებული ჭასრაკებით და ერთი კაციც ამ თოკს ჭეავს
მიჩემებული, ოომ თვალ-უური ადეგნოს, ოადგან ამ თო-
კით ზღვის სიღრმიდან კაცი ელაპარაკება კ. ი. ანიშნებს
ხოლმე რაც უნდა, ხოლო ოცა საქმე გაუჭირდება და
ითხოვს ამიერანეთ, შევწუხდით, წამსვე უნდა ამოიუგნონ,
ამიტომაც უეჭველათ სამი ამსანაგი მუშაობს: ერთი ოო
წეალში ჩადის, ორი კაცი ნავზე რჩება, ოომელთა მოვა-
ლეობაა წეალში ჩასულ ამსანაგს გაფაციცებით უური უგ-
ღონს: ერთმა უნდა განუწევეტლათ ჭაერი უმარჯოს, უგ-
ზავნოს და მეორემ თოკის წვერს ადეგნოს თვალი და

უფელ წუთს იცოდეს რა მდგომარეობაშია ზღვაში ჩასული კაცი.

საინტერესოა ამათი ლაპარაკი;

1) თუ თოკი ერთხელ ჩამოჭერა, ეს იმას ნიშნავს, რომ „მე ზღვის ძირამდე უკვე ჩავედი და კაი ქეიფზე ვარო“. 2) როცა ორჯელ ჩამოჭერავს, ეს ნიშნავს „ჰაერი არ მეოფნის და მომიძარჯვეო“. 3) სამჯერ რო თოკს ჩამოჭერავს, ნიშნავს „ჰაერი ჭარბათ მომდის. ცოტათი მოუკელო“. 4) თუ ოთხჯერ ჩამოჭერა თოკს, ეს ნიშნავს „ამწიერ ამოვდივარო“. 5) როცა ჩქარ-ჩქარა ჩამოჭერავს თოკს ხუთჯერ მეტათ, მაშინ იმას ნიშნამს, რო წეალში მავალი კაცი გაჭირვებაშია — ან გული უწუსს, ან საიდანმე აკულა თევზის შიში აქვს, ამ ნიშანზე წამსვე უნდა ასწიონ, ზღვიდან ამოიუვანონ.

V.

ამ ბოლო ღროს ძლიერ გავრცელდა მარგალიტის წარმოება ავსტრიალიაში. აქ ზღვა-ოკეანეში თურმე დიდ-მალი სიძლიდრე ინახება ძვირფას ცხოველებისა. აქვე მოგვუვს ერთი გერმანიელის თავ-გადასაფლი, რომელსაც ბედი უცდია, — ავსტრიალის ზღვაში ჩასულა მარგალიტის საძოვნელათ.

ძლიერ საინტერესოა მისი საამბობი:

„განვლილ წელს, — ამბობს გამჭრიახე ნემეცი — ოკე-

ნები გემით გმოგზაურობდით, ამ დროს საშინელი ფრთხონა ატედა, ზეირთებმა ჩვენი გემი გაიტაცა და ავსტრალიის ჩრდილო ნაპირებთან გაგვრიუა, გადავრჩით. ზირველი სოფელი დაგვიხვდა კოშაკი, რომელიც დასასლებულია მარგალიტის მექანიკურ მუშაობას. ვუცემოდი ამ ხალხის მუშაობას — სხვა რა საქმე მქონდა... ერთხელ ჩემ ოფალ-წინ ლოკოკინებიდან ათიოდე დიდონი მარგალიტი აძოიდეს, და მეც სულმა წამძლია. გადავწევიტებედი მეცნადა, — დმერთო და ბედო-მეთქი და მევუდექ საჭმა.

ჯიბეში ასიოდე თუმანი მქონდა. ჯერ ნავი ვიუიდე, როგორც რიგი იუა მოვაწეე და მუშებიც დავიქირავე. წეალში ჩამსვლელ მუშას ისე მღვურიგდი, როგორც აქ წესათაა: იმას უნდა ემუშავა ჩემ ნავზე ხუთი თვე, უოველ 60 ფუთ მარგალიტის ლოკოკინებში, რომლებსაც იყი ზღვის გულიდან ამოიღებდა, 100 დოლარი უნდა მეძლია და ამას გარდა თვეში 100 დოლარიც ჯამაგირი (დოლარი მანეთია).

ამ გვარათ ერთ შეენიერ დილას შევცურდით ზღვაში, გახსენეთ დმერთი და საქმეს შევუდექით. მუშას თავზე ჩამოვაცვით თითბრის კასრი, მოვაბით სასუნთქი ჰაერის მასრა და რეზინის მილი. წელზედაც შემოვარტყით თოკის ერთი წვერი. მუშა ჩახტა ზღვაში და ერთი მოხერხებული ჩინელი მუშაც რეზინის მილით ჰაერს უმარჯვებდა.

და; მე კიდევ თოვს გადავნებდი თვალს, რომლის წვერიც
ჭახრავზე იუო მაგრა ჩაბმული, წარმოდგენილი მქონდა,
რომ ლოკოკინების ჭერა ადვილი იუო, მაგრამ საქმით
კი სულ სხვა გვარ ადმოჩნდა.

უკრივ შევამჩნიე, რომ ჩვენი ნავი, როგორდაც სა-
ქოთ, თვრალი კაციებით ბარბაცებდა. ზღვა სრულებრივ
მშეიდობიანი იუო. ვფიქრობდი მაში რა მიზეზი იუო? მაგრამ
ჩემი ნავი უფრო ცალ-მსრივ დამძიმდა, გადაპირქვავიბას აპი-
რებდა, აქ ბევრი ფიქრის დონ ადარ იუო, ნავის მირიდან
თურმე წეალის შემოეხეთქა და საცაა ჩაგვმირავდა. საჩქა-
როთ ამოვათრიეთ ზღვიდან ჩვენი უურუუმელა მუშა და
ნაპირისკენ გავემურეთ. ჩინელმა მუშამ ამოსასხმელი ტოლ-
ჩა უმარჯვა, — ნავში შემოვარდნილი წეალი ამოღვარა, ამო-
შიბა, მაგრამ რას ვააწეობდა...

ნაპირს მშეიდობით მცველით და აქ შევუდექით საქმეს—
ჩვენი დაზიანებულ მირ-გახვრეტილ ნავის დაკრებას. გა-
იარა რვა დფემ, ვიდრე დურგალს ვიძოვიდი და მერე
კიდე მთელმა კვირამ, ვიდრე ნავს შევაკეთებდით, გა-
ქმართავდით. ამასობამი ჩემმა წეალი მავალმა მუშამ გა-
სამრჯელო ჯო დოლარი ოქრო ჩაითვალა თუ არა, აკი
დოქორთი არ გაუწერა და არაუის გემო არ გაიღო!?! ის
იუო და ის, მივ ჩაიკლა თავი. იმ წეულ-შეჩვენებულთ
ჭოლანდიელებს მოაქვთ ავსტრიალიაში დიდ-ძალი სპირტი
და ვანგებ ცდილობენ აქაური ველური, მდაბიო ხალხი
ლოთობას შეახვიონ და ამ გვარათ მათ ამოწევეტას უფ-
რო ხელი შეუწეონ; — ისე ეტანება ველური ხალხი სპირტს,
როგორც ბუზი თაფლს.

თუმცა ნავი უკვე მზათ იუო, მაგრამ მარტო აბარი
გავარიცებდი. ჩემი გალოთებული დაკარგული მუშა მოუ-
ლი სამი დღე ვეძებე, მაგრამ კერას გავხდი. ვერც ის ვი-
ჰოვე და ვერც სხვა ვინმე შესაფერი კაცი. ბოლოს გა-
დაწევიტე რაც იუოს იუოს, მე თათონ ჩავალ ზღვაში-
მეთქი. ჩემი ჩინელი გამოცდილი მუშა ჩემთანვე იუო, ერ-
თი უბრალო მუშაც სელათ დავიქირავე, ვახსენეთ ღმერთი
და შევაცურეთ ჩვენი ნავი ოკეანეში. დარი შვენიერი იდ-
გა და ჩვენც მძვიდობიანათ მივაღწიეთ სასადირო ადგილში-
დე. — ამასობაში დაგვიდამდგ კიდეც; ცა ვარსკვლავებით
კაშკაშებდა, ჭაერი დამძინებული იუო და იმედი მოგვიც-
რომ არსაიდან ფრთონა არ ატედებოდა, — დაქანცული, დაწ-
ლილი ხალხი არხეან მილს მივეცით. გათენებისას წა-
მოვაწი, დავადვიძე ჩემი მუშები. ვერ წარმოიდგენ მკითხ-
ველო რა შვენიერ — დიდებულ სურათს წარმოადგინდა
ზღვაზე დილა, მეტადრე მამინ, როგორც მზემ ოქროს
სხივები არე-მარეს მუჭვინა და ცეცხლის ბორბალივთ
ზღვიდან ამოვიდა!.. მაგრამ პოეზიისთვის არ შეცალა; ჩი-
ნელი ვიშველიე და თავით ფეხებამდე სელათ შეგიძლიერ
წეალში მავალ კაცის მძიმე სამოსელში. ჯერ ვცადე, ნავზე
გავიარე რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ აი შენც არ მომიკვდე
ვერ დავძარ ოც გირვანქიანი ტუკიის ქალამნები... ჩემ მუშების
სიცილი წასქდათ, მაგრამ მე კი არა მკითხავდენ, ნეტა
ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოეხედათ!.. დიალ ამ გარემოებაში მე-
ძლიერ დამაღონა, მაგრამ ჩემმა ჩინელმა მომიმართა სასუ-
თქელი მილი, წელზე მომაბა თოვი და ზღვაში გადამიშა
ჩავხტი ზღვაში თუ არა უცემ რაღაცა გრძნობამ შე-

ბოჭა, როცა ვნახე რომ ამოღენა სართული წეალი თავზე მო-
შექცა. რამდენათაც ქვევით-ქვევით ჩავდიოდი, წეალი უფრო და
უფრო ცივი მხვდებოდა, ჯერ ზღვის ძირამდე ვერც გი ვუწიე,
რომ ძლიერ უსიამოვნო გარემოებაში ჩავვარდი: უურები დამე-
კო, აურ-ზაურმა და სამინელმა ხმაურობაშ თავი გამიბრუა,
თვალები ამიჭრელა და რაღაც რეალები დამიხტოდენ თვალის-
წინ. ფურიანი მკერდზე დამაწვა, გული შემიხუთა, ვეღარ ამო-
გისუნთქა. რო დავატე ცუდათაა ჩემი საქმე, თავბრუ მესხმის,
გული მიმდის, წამსვე ჩამოვკარ თოკს სელი და ვანიშნე ამწი-
ეთ-თქო. ნავზე რო ამათრიეს, ჰაერზე ისევ მოვსულიერდი,
თავისუფლათ ვიგრძენ თავი და ჩემი ასეთი მარცხი მუშებს და-
გაბრალე — უთოოთ ჰაერი დამაკლეს-მეთქი. მაგრამ ჩინელმა
მიხსნა მიზეზი. თურმე ზემოდან რო სასუნთქველათ ჰაერს
მიმარჯვებდენ, ამ ჰაერის სიმძიშე თავზე მაწვებოდა, მა-
ბრუებდა. ჩინელმა ზერხი მასწავლა: „ჩირი ჰაერით გაივ-
სე და ლოუები ძლიერ გაბერეო“. კარგი და პატიოსანი.
კვლავ ვახსენე ღმერთი და გადავეში ზღვაში. ახლა კი
ძლიერ ღრმათ ჩავედი, მირამდე ვუწიე, გზა და გზა სელათ
რამდენიმე ლოკოვინა ვიპოვე და ტოპრაკისკენ ვუკარ თავი.
მაგრამ სამინელ სიღრმეში ისეთი აუტანელი სიცხე ვიგრძენ,
რომ ასე მეგონა, მდუღარეში ჩამაგდეს-მეთქი. — იძულებული
ჰევიქენ — კვლავ თოკისთვის ჩამომექრა და ისევ ამწიეს, ამი-
ტანეს ნავზე. ჩინელმა კვლავ ამიხსნა: — ეს მეორე მარცხი თუ-
რმე იმიტომ მომივიდა, რომ მეარ ვიცოდი როგორ ამო-
მესუნთქა გაფუჭებული ჰაერი. ჩინელმა ესეც დამასწავლა.

მესამეთ ისეთ ადგილს მოვხდი, რომლის სანახაობაშ
გული აძივსო სისარულით და ჩემს გაოცებას საზღვარი


აღარ ჭერნდა.
 მე ვიყავ 100
 ფუტის სიღ-
 რმეზე, სადაც
 ისეთი საუც-
 ხოვთ წალკო-
 ტი დაძვდდა,
 რომლის მს-

გავსს ვერა-ვი-
 თარ ოცნებით
 ვერ წარმოიდ-

გენთ, აგერ ჩემ გარშე-
 მო ფანტასტიურ მარჯნის
 ბუჩქებს, აუგავისული ტო-
 ტები წითელ, უვითელ და
 თეთრ ფერად გადუშლიათ; მართ-
 ლა და რა შეენიერი სურათია!..

კიდევ კარგი რომ ბუნების მეც-
 ნიერებიდან ვიცით, წაკითხული
 მქონდა რო მარჯანი ცხო-
 ველია, თორემ როგორ და-
 მაჯურებდი, რო ეს ტოტებიანი
 ბუჩქები ცხოველები იუჭენ და
 არა მცენარეები.—აკი ამიტო-
 მაც უწინდელ მეცნიერებს მარ-
 ჯანი მცენარე ეგონათ!

ჩემ ფეხთ ქვეშ მონაცრო
 მწვანეთ მიფენია უშველებელი




ღრუბლები და ჭედ რბილათ დავბძან ჩები. ზოგი უსწავ-
 ლელი ხომ იმახაც არ ჩაიჯერებს, რო ღრუბელი, რო-
 ჰესაც ჩვენ ვსმარობთ დაფების და ტანისამოსის საწმენ-
 დათ, ეს დაჩვრეტილი ღრუბელი ცხოველია და არა
 სოკოს გვარი მცენარე.

შიგა და შიგ მარჯნის ბუჩქებში შერეულა მუხლის
 სისხო ცის ფერი ფესვები ზღვის რადაც მცენარისა. აქ-
 ვ მორგვივით კორაობენ მოუვითალო, მოწითალო და სისხ-
 რივით წითელი ცხოველი ან ემონათ წოდებული. აფ-
 ერ მოელი კლდეები ამართულან მწარა ქვასაყით და-
 ხვრეტილნი, თეთო მარჯნების ნახელოვნარი. ნერა რა
 ფერს იტევის ენა და პირი, რომ იმ ფერის მცენარეებით
 არ მორთულან ეს საოცარი კლდეები.—

ნეტავ გენახათ ეს ღვთივ კურთხეული ედემი რამდენ
 გზა და რამდენ ფერ წვრილმან ცხოველებით, იუო სავ-
 ჭე,— აქ სიცოცხლე მართლა რო ღუღდა და გადმოდიოდა.
 ზოგი ერთა ცხოველი ისე ანათებდენ აქაურობას, რომ
 გულს ხიბლავდენ, თვალს მოშორება არ უნდოდა, — ცი-
 სარტეელასაებ ფერად-ფერადათ ამუქებდენ, ელვარებდენ,
 თუმცა მათ შორის შესაზიზდარნიც იუვენ, მაგალითათ,
 ზღვის ძღარები, ეკლებით შემოსილნი.

ედემის შეენებით მოხიბლული ღიღხანს უუცეროდი
 კაშტერებული. ამ ღროს სად იუო და სად არა ჩემ წინ



საშინელი აკულა გამო-
მეცხადა, სირკბოება ჩა-
მაშვამა. ჟაი დასწუევლი
ღმერთმა! ეს ვერაფერი სა-
სიამოენო სტუმარია! გული

საშრელი აკულა გამომეცხადა. კიდევ იმითი ვიმშვიდებდი,
გაგონილი მქონდა, რომ ეს ღორ-მუცელა მსეცი აბჯო-
სან კაცს არას ერჩისო. მაგრამ უცებ თავში აზრმა გა-
მიელვა: — ბიჭოს და მერე ჩემთვის იქნება შეცვალოს ჩვეუ-
ლება და ე რო ღამეტაკოს რაღა გავაწეო? გულის ცემ
შემიჩერდა, მუხლები ჩამეკეცა, — ცახცახი ღამიწეს, მაგ-
რამ ღმერთმა ღამიფარა განსაცდელისაგან: — აკულა! ერთი
კი ამათვალიერა, ჩამათვალიერა — ალბათ მეც მსეცი რაშ
ვეგონე — მერე მოიქნია ბოლო და საითეგნლაც გაჭერა,
გასრიდალდა, გული გულის ალაგას ჩაჯდა. თავისუფლათ
ამოვისუნთქე. ის-ის იუ არსეინათ საქმეს უნდა შეკდეო
მოდი, რომ ახლა

კიდე სხვა რა-
ღაც უშეველებე-
ლი მხეცი მო-
მევლინა — პირ-
დაპირ ჩემზე და-

ურიდებლათ მო-
დიოდა. — ღმერ-
თო ჩემთ ე რა უბედური ღლე გამითენდა თქვენი ჭირი-
მეთ! გულმა ისევ ძაგა-მუგი ღამიწეო, რავენა და როგო-



ჩალაც უშეველებელა მაყუი პირდპარ ჩემს
დაურიდებლათ მოდიოდა.

თო ჩემთ ე რა უბედური ღლე გამითენდა თქვენი ჭირი-
მეთ! გულმა ისევ ძაგა-მუგი ღამიწეო, რავენა და როგო-

რავენა? მოდი თოკს ჩამოვკრავ, მეტი რა გზაა... ჩემ
 ბედზე აკი რაღაც ცხოველმა თავის თეთრი შუქით არე
 ბარე არ გამინათა! აკი არ ვიცან ვინც ბძნდებოდა ჩემი
 მტერი: იცით ვინ იუო? წარმოიდგინეთ უზარ-მაზარი კუ,
 უოლად უვნებელი ცხოველი, ერთი ისეთი სიცილი კი წამსვ-
 და, რომ ჩემმა ხარხარმა ზღვა შეანმრია — „კუმ ფეხი გამოჭუო
 მყც ნასირი ნახირაო“ სწორეთ აქ გამოდგა ეს ანდახა. მავ-
 რამ ჩემმა უზომო ხარხარმა კინაღამ სული შემიგუბა.

სუნთქვა რო თავის დონეზე, წესზე დამიდგა, დავიწევა
 ხეტიალი ზღვის მირზე და ლოკოკინების გროვება. უც-
 ხოთ, ნაზათ განათებული ოკეანეს ბაღ-ბაღნარი რაღაც
 თავისებურ ფერად-ფერად სურათებს წარმოადგენდა, ცხო-
 ველთა გროვა ფუთუთებდა, ფუფუნებდა. რამდენიმე ბიჭი
 რო გადავდი, ჩემი უურადლება რაღაც ნაირმა ლურჯია
 ჟექმა მიიჩიდა, გულმა ვეღარ მოშიომინა, ახლოს მივედი
 და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება. მარჯანის კლდის ნა-



სახის კლდის ნაპირზე ლვი-
 ნის ბოთლი კი ევდო!

პირზე ლვინის ბოთლი კი ეგ-
 დო! ბოთლზე ეწერა; „ქარ-
 თველთა მაღაზია „მუამავალი“
 ტელეფონი № 444. ნამდვი-
 ლი გახური ლვინო ქართველ
 მევენახეთა ამხანაგობისა. ფასი
 50 კაპ.“ ამ მოულოდნელმა
 ამბავმა სწორე მოგახსენოთ
 მრიელ გამაოცა. გახური ლვი-
 ნის ბოთლმა, უადგილო ადგი-


ლას, ისე მასიამოვნა, რომ თვალები სისარულის ცრტებ-
ლებით ამევსო და ცარიელა ბოთლს ისე მოვეხვიე რო-
გორც მმა და თვისი — უელში რამდენჯერმე ვაკოცე. რა ა
ბძანებთ, აბა რამდენი რამ მომავონა — სად კახეთი და სად
ავსტრიალია! ავსტრიალია იქით იურს ზღვა — ოკეანეს მი-
რი... მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ მეც გხლებივარი
ოქროს ფურცლოვან კახეთში — წინანდალში მემარნეთ უხუ-
ცესი გახლდით ხელმწიფის მამულში.

დიალ ფიქრებმა შორს, შორს გამიტაცეს და კიდევაც
ბეჭრი რამ მომავონდებოდა, მაგრამ ამ დროს რაღაც ჰა-
ტარა თევზმა მიყბინა მარჯვენა ხელში და ოცნებიდან გა-
მომაფხიზლა. ეს არა მკითხე სტუმარი შორს გავაგდე და
მარგალიტის ლოკოკინებს დავუწევ გროვება, მაგრამ დიდ
სანს გეღარ გაფძელ წეალში და ჩემის ნაძოვარით ამათ-
რიეს ნავჩე.

ასე და ამ გვართ, ათასწილი მარცხით და ხიფათით
დაიწეო ჩემი ნადირობის საქმე. მერე კი, ღვთის წეალო-
ბა გაქვსთ, გამოვიცადე, დღეში 110 წევილი მარგალი-
ტის ლოკოკინა ამამქონდა, თუმცა კი აქ მცირე ნანაან-
რევათ ითვლება, მით უფრო რომ ლოკოკინებში ხეირიბი
მარგალიტი ვერა ვიზოვეთრა, ორ კვირამდე ვიმუშავე, ათ-
ასზე მეტ ლოკოკინას მოვუგროვე თავი და მერე დავიწ-
უეთ ნაშოვნის დაფასება...

ლოკოკინების გროვა
 რამდენიმე ღღეს კარგათ რო
 დალპა, იმათ სადაფებიდან
 მარგალიტები ამოვერიბეთ,
 გავრეცხეთ და გავაცსავეთ,
 რაც ცხავს გაჭევა უიშმატ,
 ჭიოტა მარგალიტს სხვა
 ფასი დაგადეთ, ხოლო რაც დავიწყეთ ნაშავრის დაფასება.
 ცხავძი დარჩა საგანგებოთ გადავარჩიეთ; — სხვილი მარცვ-
 ლები ლირსების დაგერათ ექვეს სარისხათ გავანაწილეთ.
 ერთ თვეს შემდეგ ჰარისის ბაზარში ჩემი ძვირფასი მარ-
 გალიტები კარგ ფასათ გავუადე, რადგან ამ ქამათ მარგა-
 ლიტზე დიდი მოთხოვნილებაა. დიდ მოდაშია “...

ილიკო.



ჯემს გარფილდის ცხოვრება.

XXV.



იდი ზეობრივი ბრძოლა დაჭირდა გარფილდს იმ დღეს, როდესაც სამხედრო სამსახურში გადასელა გადასწყვეტა. დედის ნაჩუქარ დაბადების კითხებით მთელი ღამე თეთრათ გაათენა, მასში ეძებდა ამის პასუხს: „წავიდე თუ არა საომრათაო?“ „წადიო, წადიო!“ ჩასჩურჩულებდა მას რაღაც იდუმალი ხმა. „მიატოვე უველა და წადი სამშობლოსათვის საბრძოლველათო!“. ამ დროს ერთ თავის საუკეთესო მეგობარს მისწერა შემდეგი: „ჩემ საკუთარ სიცოცხლეს მე არათრათ ვაგდებ. ის ეკუთვნის საესებით სამშობლოს, ოლონდ ერთისა მეშინია: მგონი ძლიერ ცოტა სარგებლობა მომაქვს მე მისთვის!“.

ომი დაწყო. გარფილდი ჯარის ერთი რაზმის უფროსათ დანიშნეს. მივიღა თუ არა თავისი რაზმის ბანაკში, პირდაპირ სამხედრო საქმის ანბანს მოჰკიდა ხელი. რაღვანაც სამხედრო საქმეებისა არა გაეგებოდარა, იმისთანა სათამაშო გამოიგონა, რომლის შემწეობითაც ჯერ თეითონ შეისწავლა, რაც კი საჭირო იყო და მერე თავის რაზმს დაუწყო სწავლება... გააკეთა თავის ხელით იფრის ხილან ჯარის კაცები და აფიცირები; ჩამოამწირიებდა ხოლო ამათ ერთ დღი ფიცარზე, ხან ავებდა ხან იგებდა ბრძოლას და ამნაირათ სხეა-და-სხეა სამხედრო წესებით გარჯომობდა. მართლაც, სულ მოკლე ხანში, რაც კი საჭირო იყო სარდლისათვის, ზეღმიწევნით შეისწავლა. მერე გახსნა სკოლა აფიცირებისთვის, საღაც ესენი თავს იკრიდენ, კითხულობდენ ხმა-მაღლა, სხეა-და-სხეა სამხედრო წიგნებს და სამხედრო თამაშის შემწეობით გამოცდილებას იძენდენ. ამ-

ნაირი გამუდმებული შეცადინეობით, რომელიც ხან-და-ხან ექვს სა-
 ათს და რეასაც გასტანდა, გარფილდმა, ისე შეენიერათ გაწეროთა თა-
 ვის ჩაზმი, რომ ყველას სამაგალითოთ ჰყავდათ. პირველი სამხედ-
 რო მონდობილობა, რომელიც გარფილდს მხედართ-მთავრისაკან
 მოუვიდა, იმაში მდგომარეობდა, რომ მოენახა როგორმე საიდუმ-
 ლო გზა, მეორე ჯარის უფროს კრენორის ბანაკისკენ მიმავალი და
 შეერთებულიყო მასთან. ამისათვის საჭირო იყო იმასთანა სამდელი
 კაცის შოვნა, რომელსაც კრენორისათვის საიდუმლო წერილი მი-
 ეტანა და არაფრის გულისთვის, თუნდაც მოეკლათ, ის წერილი
 მტრის ხელში არ ჩაეგდო. ბარათის წამლებს უკანასკნელი ასი მი-
 ლი უნდა გაევლო, გარდა ამისა სულ იმისთანა ადგილებში მოხე-
 დებოდა სიარული, სადაც მეამბოხეები ესახლენ. გარფილდს ასწავ-
 ლეს ერთი სამდელო კაცი ჯონ ჯორდონი. გავზაქნეს კაცი ჯორდო-
 ნის მოსაყვანათ. მოეიდა ერთი მაღალი, მხარ-ბეჭიანი ყმაწვილი, რო-
 მელიც გაუკებარ მთის კილოზე ლაპარაკობდა. მთს შეილი, ბუნე-
 ბას ძალიან დახალოვებით იცნობდა, დანარჩენში კი წმინდა გულ-
 უბრყვილო ბაეში იყო. სამხედრო რჩევის წეერებმა ეჭვი შეიტანეს —
 ეგ არ ივარგებს ჯაშუშის თანამდებობისათვისო, მაგრამ გარფილდი
 უცდათ მიხედა, რომ ეს ხეპრე, უსწავლელი კაცი, სამდელო ლეთის
 მოყვარე ჯარის კაცი იქნებოდა.

— რისთვის მოსულხარ ომში? ჰკითხა გარფილდმა ჯორდონს.

— იმისთვის, რომ ჩემი თაერ სამშობლოს შეეწირო, უპასუხა
 ჯონმა. — მე ღმერთს არ ვევაჭრები, ინებებს — ამ ომში მოსპოს ჩემი
 სიცოცხლე — რაეუყოთ. გინდ დღეს გინდ ხვალ — ეგ სულ ერთია.

— მაშ იმ მიზნით მოდიოდი ომში, რომ ცოცხალი აღარ დაბ-
 რუნებულიყავ.

— ღიახ, ბატონო უფროსო.

— მოგვცემ თუ არა სიტყვას, რომ თუნდ სიკვდილს გიქადდენ,
 ჩემ მიერ მოცემული წერილები არავის მისცე?

— შაგაზე ეჭვი ნუ გექნებათ, ბატონო სარდალო.

— კარგი, მჯერა შენი სიტყვა.

გარფილდმა იმ წამსვე დასწერა წერილი თხელ ჩინურ ქაღალდზე, დამრგვალა პაწაწა ბურთიერთ, გაჭვია ტყვეის ქაღალდში და გა-
დასცა ჯორდონს; მისცეს ხელში თოფი, ორი რევოლუციო, შესვეუ-
საუკეთესო ცხენზე და გაისტუმრეს. მთვარე ჩადიოდა, როცა ჯორ-
დონი ბანაკიდან გამოვიდა. ნაბრძანები ჰქონდა დღისით ტყეში შე-
ეფარებინა თავი, ღამით კი ალიონამდე დაუსვენებლათ ეჭენებინა
ცხენი. ორ დღეს შემდეგ, შუალამისას, როცა გარფილდი ღრმა ძილ-
ში იყო, ჯორდონი ისევ ბანაკში გაჩნდა; პირდაპირ სარდლის კარა-
გისკენ გაეშურა. ჩაფრინდა მხრებში და იმდენი ანჯორია, რომ გა-
მოაღვიძა.

— ა—ა! მობრუნდი! ცოცხალი ხარ! წამოიძახა გახარებულმა
გარფილდმა, — ნახე კრენირი?

— ენახე, ბატონო სარდალო! ორ დღეს შემდეგ აქ იქნება
თავისი ჯარით. მე რომ გამოებრუნდი — ისიც წამოვიდა.

— ყოჩალ, ჯორდონ! დიდი სამსახური გაგვიწიო! ღმერთი დაგა-
ჯილდოვებს ამისთვის! წამოიძახა გარფილდმა და უშიშარ ჯარის
კაცს ხელი მაგრათ ჩამოართვა.

— უმორჩილესათ გმაღლობთ, ბატონო სარდალო! ჩაილაპარაკა
მან მორთოლვარე ხმით, არ მოველოდი სწორეთ ამისთანა ჯილ-
დოს...

გარფილდი ჯარის კაცებს ძალიან უყვარდათ. მისი გულისათვის
არც ერთი თავიანთ სიცოცხლეს არ დაზიგავდენ. ერთხელ სარდ-
ლის ნახეა მოინდომა მეორე რაზმის ერთმა ჯაშუშმა და დაინახა თუ
არა გარფილდი, ხელი მაგრა დაუჭირა და შევყირა:

— ჯიმ!

— ეინა ხართ? ჰკიითხა გაკვირვებით გარფილდმა.

— შენი ძევლი ამხანაგი, ჩემო ჯიმ! რომ გავიგონე, ოგიოს
შტატში მოგროვდა ჯარი, რომლის უფროსათაც ჯემს გარფილდი

რწებაო, ვითიქრე ეს ჩემი ჯიმი ხომ არარის ნეტაი, „მწუხრის ვარსკულავზე“ რომ ამხანაგათ ეყიყეოთ მეთქი და გამოვიქეცი შენსკენ.

— ნუ თუ შენ ხარ, გარჩი? წამოიძახა გარფილდმა და მეგობრულათ ჩამოართეთ ხელი. მხოლოთ ახლა იცნო მან სიცხისაგან დამწვარ, ტანისამოს-შემოფლეთილ ჯარის კაცში, გარჩი ბროუნი, მატროსი, რომელიც ისე დაუმევებრდა მას აჩხით მოგზაურობის დროს.

— ბატონი სარდალო, უცებ შესცვალა ბროუნმა მეგობრული კილო, — მზათა ვარ ვემსახუროთ; რაც გინდათ შიბძანეთ.

გარფილდმა მხიარულათ ჩაიცინა.

— აი, მეც სწორეთ ამისთანა ჯაშუში მეჭირება, თქვა მან და ბროუნი თავის რაზმში ჩარიცხა. გარფილდი მას ძალიან ენდობოდა. ბროუნს ოგიოს მდებარეობა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი; იყი გააგზავნეს რომ მტრის ბანაკი გარშემო შემოევლო, შეეტყო ჯარების დაწყობილობა და დაახლოებით ის, თუ რამდენათ ძლიერი იყო მტერი. რასაც მიანდობდენ, ყველაფერს დიდი გამარჯვებით შეასრულებდა ხოლმე.

გარფილდის რაზმში ასამდე აირამის ინსტიტუტში სტუდენტათ ნამყოფი ჯარის კაცი იქნებოდა. ერთხელ ორივე მხარე მედვრათ იბრძოდა. ეტყობოდა გამარჯვება უდაბურ ტყეში ჩასაფრებულ მაწინააღმდეგებისაკენ იყო. ბევრი ახალგაზდა დაეხოცა გარფილდს. თეო-თონ ამ დროს რამდენიმე ჯარის კაცით იქვე კლდის თავზე იდგა; ალელევებული ბრძოლას დაცუქერდა და თავის გულად მეომრების-თვის მხურვალეთ ლოცულობიდა. ყოველ წამს დამხმარე რაზმის მოსელას ელოდენ, მაგრამ ის არა ჩანდა. მტერი კი თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მდგომარეობა საშიშარი იყო. ერთი წა-მის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. გარფილდმა უკანასკნელი საშინელი საშეულება იხმარა. გადიძრო ნაბადი და დაუყვრა თავისთან მყოფ აირამელ ახალგაზდობას, რომლებიც მას ახლო ჰყავდა, როგორც სა-შეელი რაზმი:

— მომყევით, ყმაწვილებო! გაუმარჯოს ჩვენ ჯარს! ეს მამაცუ-
 რი ძალი ახალგაზღობაში ერთიხმით გაიმეორა და პატია ჯგუფი, გარ-
 ფილდის წინამძღვლობით, შევარდა საშინელ ომში. უშიშარი მეო-
 მრები თითქმის მიფრინაედნ ამხანაგების გამოსახსნელათ.

მზე ის იყო გადიხარა და დასავლეთის მთას უნდა ამოჭურებოდა.
 ამ დროს უცბათ გამოჩნდა, ვარსკვლავებით მოჭედილი დროშა; მო-
 დიოდა შელდონი დამხმარე რაზმითურთ. ამის დანახვაზე მტრის ბანაკ-
 ში არეულობა მოხდა, მათი სარდალი, აირამელებისაგან ექვსი ტყვით
 განგმირული, უსულოთ დაეცა.

— გმადლობთ, ძმებო! თქვენ იხსენით ჩვენი ჯარი! მხიარულათ
 შესძახა გარფილდმა თვისი უწინდელ ამხანაგებს, რომელთაც ის ის
 იყო მტერი გააქციეს და დაბრუნდენ. ამ ომში ჯემს გარფილდმა
 ბევრჯელ დამტკიცა თვისი გულადობა. ერთხელ აუცილებლათ სა-
 ჭირო იყო ღენერალ თომასისათვის შეეტყობინებინათ, რომ იგი სა-
 ჩქაროთ მოშველებოდა დამარცხებულ ჯარს. არავინ არ კისრულობ-
 და ამ მინდობრლობის ასრულებას, რადგანაც ამბის წამდებს იმ გზა-
 ზე უნდა ევლო, რომელზედაც მტრის საყარაულოები იყო გამწკრი-
 ვებული. გარფილდმა თვითონ იკისრა ამბის წალება და ამით ძალიან
 გააკეირეა მხედართ-მთავარი როჩენკრანცი, რომელმაც გაუწოდა ხე-
 ლი გულად ღენერალს და ათრთოლებულის ხმით უთხრა!

— ღენერალო, შეიძლება, ჩვენ ვეღარ წნახოთ ერთმანეთი. გა-
 კურთხოსთ უფალმა.

თუ რომ გარფილდი იმისთანა შესანიშნავ ცხენზე არა მჯდა-
 რიყო, მტრის უთვალავი ტყვია ბოლოს მოულებდა. როდესაც მია-
 წია იმ აღვილამდე, სადაც ღენერალ თომასის რაზმი იღვა, უველ-
 აფიცრები გაოცებული მიევებენ წინ.

— გარფილდო, ნუ თუ ცოცხალი ხართ? დაიძახა სიხარულით
 ერთმა ღენერალმა. სწორეთ რაღაც სასწაულს გადაურჩენიხართ!

მაგრამ გარფილდი არაფერს არ ხედავდა და არაფერი არ ესმო-
 და. მისი თვალები ეძებდენ რმას, ვინც იყო მიზანი მისი საშინელი

გულადობისა. დაბლა, ბორცვის ძირას, მცირე ამაღის წინ, იდგა მა-
შაცი ლენერალი თომასი. გარფილდმა ერთ წამს ცხენი შეაჩერა, აა-
ყრო ზეცისკენ ხელები და თვალცრემლიანმა წარმოთქვა!


— აერ ის! შენ დაიტარე მისი სიცოცხლე, უფალო, ახლა ჩვე-
ნი ჯარი არ დაიღუპება.

თომასმა, მართლაც, გაიგო თუ არა გარფილდისაგან რაზმის გა-
ჭირებული მდგომარეობა, გაეშურა მისაშეელებლათ და დამარცხა
კიდეც მტერი.

ამ შემთხვევაში ჯარი უმთავრესათ ლენერალ გარფილდის თვე-
დადებულმა გულადობამ იხსნა.

ბატუ.

(შემდეგი იქნება)



საკვირველებანი გუნებისა.

5.



ვარდი იერიქონისა (la rose de Iericho).

არდი იერიქონისა არ არის იშვიათი
უგავილი, მაგრამ მით მაინც საკვირეე-
ლი მოვლენაა. მოდის უველგან — აღ-
მოსავლეთის თბილ ქვეუნებში. ჰქვიან
უარი სახელი და სალხი კი საზოგა-
ერიქონის ვარდს.

ფოთლები აქვს მქრალი მომწვანო და მოღვრემილი. შეაგულ ფოთლებისა ამოაქვს წვრილი მხატვე ზრო (ღერო), შეკუნწლული ლამაზის უვავილებითა, და რამდენათაც ფოთოლი მისი უსიცოცხლოა და მოწევენილი, იმდენათ უვავილი იცის მსიარული და თვალის მიმტაცი.

აუგავების შემდეგ ფურცლები უჩქნება და სცვივა; ზორ
იხრება და გვარილის პარკებში ანუ, უკეთ რო ვთქვათ,
მის ხოჭიჭმი მზადდება ახალი მარცვალი, სრულდება
თესლი.

აგერ მარცვალიც მომწიფდა, ნიადაგი მას მიიღებს,
აღმოაჩენს, შეიქმნა ნაუოფერათ. თუ სიცოცხლის მომნი-

ჭე წეიძას გამზადებული ჰქონდა ადგილი და განახლებული მიწა, მაშინ შეძი არა აქვს, ესელაფერი კარგა მოხდება: თესლი იხარებს, მცენარეთ გადიქცევა და თავის მხრივაც ახალ უვავილს, ახალ თესლს გამოიტანს.

ხოლო თუ გვალვაა და დედმიწა გამსმარის, ვარდი იერიქონისა შეიკავებს თავს, არ გამოიმეტებს თავის საუკრელ თესლს და არ ანდობს ნიადაგს, რომ, ვინიცობაა, ულმობელმა მზემ არ ამოსწვას გავარვარებულ მიწაში მისი ნორჩი მარცვლები, — მისი იმედი, მისი ნუგემი.

იგი ცოცხლობდა, ჰევაოდა, რომ აღმოეცენა მარცვლები, გაეჩინა შვილები და მიენიჭებინა მათვეის სიცოცხლე და სიხარული. იმას არ შეუძლიან გაიმეტოს ისინი სასიკვდილოთ. მაში რას იზავს ახლა? დაჭხრის ზროს უფრო მეტათ, დაჭხრის აგრეთვე წვერებს გამშრალი შტოებისას და გადაჭურიავს უელა იმ ადგილებს, სადაც კი განისვენებენ მისი მარცვლები. რომ ჭნახო ესე დამჯერი, ტოტებ დაძვებული და დაკრუნჩხული, გეგონება — მკვდარიაო. არა, ის ისეგ ცოცხალია, მხოლოთ ლრმა ფიქრებშია გაბმული. ფიქრობს სულ თავის უსუსურ მარცვლებზე და იმ პატია უვავილებზე, რომლებიც მათვან დაიბადებიან.

დგება ბოლოს სახთი, დანიშნული ბუნებისაგან, როდესაც მიწას უნდა მიჟღარდეს უოველივე მარცვალი. ბუნე-

ბაშ არც იცის არავისი ცდა, უკვარს რომ უკელანი ემორჩილებოდენ.

მაგრამ ამავე დროს ნიადაგი ჯერ ისევ ხმელია, მაწა თონესავით გახურებული. რა სატან ჯელია, რა კოკონეთია დედა-მცენარისათვის! ნეტავ თუ რითი გათხვდება ეს ამბავი?

სასწაულთ-მომქმედი, ვარდი იერიქონისა ჭყარავს და ჭმალავს რაც კი შეუძლიან თავის მარცვლებს თვისი და შეკნარი და გამხმარი შტოებით და განიზრახსავს ამასთანავე ფრიად საკვირველ მოგზაურობას, რომ გადიუვანოს თავისი შვილები უფრო საიმედო და უფრო ნაუოფიერ მიწაზე. ცოტ-ცოტაობით ითავისუფლებს მიწიდან მირს, რომლითაც ის მიჯაჭვული იქო ნიადაგს; როგორც ნამდვილი თავგანწირული მშობელი დედა შვილის გულის-თვის განჭმორდა მიწას და მხოლოთ ერთი ბეწვის სიმსხო ფესვით-და არის მასთან შეკავშირებული. მაშ რაღას ელის, რატომ არ იწეებს მოგზაურობას? ელის ქარს: დაჭეროლავს ქალი და აიტაცებს მაღლა ჭაერში, რომ გადიგანოს სადმე წელის პირას ან ტუის პირებში.

იქ, ამ ჭაერით მოგზაურობას შემდეგ, ვარდი იერიქონისა მიეთვისება სველ მიწას; გამოფხიზლდება ღრმა მილიდან, გამოერკვევა მწარე ფიქრებიდან; გამხიარულდება, ამწვანდება, აჭხსნის არტახებს თავის მარცვლებს და ჩაბარებს ნაუოფიერ დედამიწას.

მაგრამ, როგორც კი განჭერიდება ის თავის საუა-
რელ შვილებს, თვითონაც სრულიათ ბოლო ელება, —
ყრუჩხება გამსმარი შტოები, ეპარგება ფერი და ეძლევა
ჭრავ გამოურბებებელ ძილს.

იქნება კიდეც გამოფხილდეს, გამოიღვიძოს, მაგრამ
აუგავებით კი არასოდეს აღარ აუგავდება.

ან კი რაღა საჭიროა მისთვის აუგავება? მან სამაგა-
ლითოთ გადაარჩინა სიცვდილს თავისი მარცვლები, რომ-
ლებიც თავისის მხრივ აღმოცენდებიან, აუგავდებიან და
ისევე გაუფრთხილდებიან თესლს, როგორც უფრთხილდე-
ბოდა მათ მათი მშობელი დედა.

ლალო აღნიშვილი.





ქურდი და გლვდელი.



რომ კაცი მიეიღა მღვდელთან და უთხრა:



— მამაო, ნუ გამირისხდები, ნება მიბოძე, ჩემი დარღები გაგიზიარო და მენგან შველა ვითხოვო.

— თქვი, შვილო, მაგისთვის რა ბოდიშს იხდი, მიუგო სულიერმა მამ.

— რა ვქნა, მენი ჭირიძე. ცოდვები ვარ: სიურმიდან დაწესებული ვიდრე აქამოძე ჩემი დღენი ავ-გაცობაში და ქურდობაში გამიტარებია. ახლ მსურს სული მოვიგო, ზნე-ხასიათი გამოვიცვალო და ამიტომ მირჩე, ღვთის გულისთვის, რა გზას დავა-გეო?

— შვილო, მიუგო სულესმა: მაგისი გზა ადვილი



და ერთათ-ერთია: აფ-კაცობა — ქურდობაზე სელი აიღე
და სურვილ აღსრულებული შეიქნებით.

ალ. მ — შეიძლი.

ვარდი და მაყვალი.

 ასა გევხარ? რა უშნო რამა ხარ! ეუბნებოდა ვარ-
დი მაყვალს, — სიმახინ ჯესთან ერთათ დიდი უზრუ-
ლიცა უოფილხარ, თვარა ნუ თუ არ გესმის, რომ
ჟენი აღავი აქ არ არის? მე მალიან მიკვირს, რათ გაძ-
ლევენ ჩემ გვერდით ამოსვლის ნებას!

— მეენიერო ვარდო, უპასუხა მაყვალმა: — მართალია,
მე შენსავით ლამაზი არა ვარ, გარშემო შენსავით საამო
სუნელებას ვერ ვავრცელებ, ჩვენ რომ შემოგვხედოს
კინძემ და გარეგნობით დაგვაფასოს, რასაკვირველია,
ჟენზე იტევის, ამას უკეთესი ხილი ეცოდინებაო, მაგრამ
როდესაც ევავილი ხილათ იქცევა, რას იძლევი შენ მა-
ჟინ? — მაგარსა და გამოუსადეგარ ასკილს... — როდესაც
ჩემი ხილი დამწიფება, ბავშები კი არა, დიდებიც კი
მოკროვდებიან ჩემ გარშემო.

ამიტომ ჩემთან უოფნას ნუ უკადრისობ მხოლოთ
ისთვის, რომ მე ლამაზი არა ვარ.

ლილია.

ପାରାଦା.

(ଚିନ୍ତାମଣିଧ୍ୟୁମିଳ୍ଲି ର. ଫାନ୍ଦେଲ୍ଲାକୁଟ୍ଟାଗାନ୍).

ଜ୍ୟୋତି ଦେଉଳା ଏହି ଶବ୍ଦିଲ୍ଲିଯୁ,
 ଶ୍ଵେତିଲ୍ଲି ଶ୍ଵେତା ମିଳିଲ୍ଲା;
 ଶିଶୁ ମାତ୍ରେକ୍ଷେତ୍ର ଲା ସିମ୍ବାରିତ
 ତ୍ୟାଳଟ ପ୍ରାଣିମଲ୍ଲେବି ମନମଳିଲ୍ଲା.

ଏହି ସାକ୍ଷେତ୍ରରେଲ ଲୁମ୍ବେ ତାଙ୍ଗି,
 ଲାମି କେବୁଗାନ୍ତି ମନେମାତ୍ରିଲ୍ଲା,
 ବାହୁଦୂଷ ଉତ୍ସାହେତ୍ତ ଶ୍ରେଷ୍ଠରାଲ୍ଲିଲ୍ଲା,
 ଶୁଦ୍ଧିଲ୍ଲାମନ୍ତି ମାରୁତ୍ରି-ମାରୁତ୍ରିଲ୍ଲା!

ମେରୀ ଏହି „ବାହୁଦୂଷ“ ଏବେବି
 ଲାମି କ୍ଷେତ୍ର-କ୍ଷେତ୍ର ଗାନ୍ଧୀରୁତ୍ରାନ୍ତି,
 ସାକ୍ଷେତ୍ର ଲୁମ୍ବେ ଗାନ୍ଧୀକ୍ଷେତ୍ରେବି,
 ଲାମି କୁଟୁମ୍ବାକ୍ଷେତ୍ର ମିନ୍ଦିରୁତ୍ରାନ୍ତି.

ବାନ୍ଦ ଏହି ସାକ୍ଷେତ୍ରେ ତାଙ୍କୁ ଲା ଧରିଲ୍ଲା
 ସାମ୍ଭିଲାମନ୍ତି ମନ୍ତା ଶରୀରେବି;
 ଗାନ୍ଧୀରୁତ୍ରିବି ଗାନ୍ଧୀଶାପ, କୁରିଶାପ
 ଲା ଲ୍ରେନିନ୍ଦିଶାପ ଆଶିଶର୍ମେବି! .



ს ა ლ ხ უ რ ი.

(წარმოდგენილი ი. გარსევანაშვილისაგან).

ქართლი იმიტომ დაცული
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
თუ მოსახალი რამ მოვა,
მოვა ბატონი, წაიღებს;
თუ მასაც რამე გადარჩა,
იმასაც ქარი წაიღებს.

(წარმოდგენილი ალ. სოლოძაშვილისაგან)

მე რომ ჩემ ამბაეს მოგიყვე,
მეტყვე: ვაი შენი ბრალი;
წალკას ავაგე დუქანი
დავაყენე დახლიდარი,
გავიარ გამოვიარე
„უპრაგუნოთ“ გადავკარი.
დაეჭექ და ვიანგარიშე
დამდებია დიდი ვალი,
დედა ჩემი მეუბნება,
ვაი, შეილო, შენი ბრალი.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(ჩაწერილი ვ. ბიბილაშვილისაგან ს. შერთულში)

შენ ჩემო სიკეთეო, საცა წაეველ მიკეთეო.

ნაშოვარი ნუ გშურსო და ნათხოვარი ნუ გძულსო.

(წარმოდგენილი განოსაგან).

წისქვილში ეინც მიდიოდა, საფქვაეს ფქვამდა;
ეინც ამბაეს ტყობულობდა, მშიერი რჩებოდა.

სიტყვების გამოცანა.

<i>p. 3</i>	1	2	3
	4		
	5	6	7
	8	9	
	10		
11	12	13	14
15			
	16		

- (წარმოდგენილი ჟალვა ნათაძისაგან)
- 1) 12, 9, 15, 13, 2, ქართველ წმიდა გმირის სახელ
 - 2) 2, 8, 9, უარს რა სიტყვით იტყვიან?
 - 3) 2, 1, 9, 10, 11, პირველი კაცის სახელი.
 - 4) 7, ქართულა რომელიმე ასო
 - 5) 6, ქართული ქორონიკონი 3
 - 6) 14, კიდევ ქართული ქორონიკონი 10.
 - 7) 1, 2, 3, 4, 5, 16 ერთი დიდებული ქართველი

მეფის სახელი.

გამოიცანით ყველა, ეს სიტყვები და ასოები ჩასეით ყველა თავ თაერი უჯრაში, როგორც არის ნაჩვენები და შემდეგ თავიდან რომ წაკითხოთ უნდა გამოვიდეს ერთი ჩვენი ძეველი მწერლის — პოეტის სახელი და გვარი.

შარადა: ქართველი.

ეპიტეზის: ჯეჯილო, მწვანეთ შემკულო, ნამუშევარო გლუ ხისო, შენ აჭმევ საწყალსა პურსა, ნაკურთხო მაცხოვარისო.

რებუსი: 1 აზამბურელი თათარი ღორის თავს მეცილებოდ.

2 ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავს.

გამოცანა: ბოლოკი, კუჭი, თხილი.

რებუსები ახსნეს: თბილისში: საშანულო ციცუშეილის ქაღმა, რეზნე, ცურალოვება, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლემ, ვას. ახ. მაძერმ, ცურავთ-აზნაურო სკოლის მოსწავლემ, ლადო ბულუსოვემ, ჭიათურაშვილი თოდრიამ.

რედაქტორ-გამომცემელი ა. თუმანიშვილი-ერეთლის,